# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 9 აგვისტო. 2023 წ. №92 (9624) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# საქართველოს დღევანდელ მთავრობას ამოძრავებს ურყევი რწმენა, რომ:




## მშვიდობიანი, ერთიანი, ძლიერი საქართველო საუკეთესო პერსპექტივაა ქართველების, ოსების, აფხაზების და ყველა სხვა ხალხისთვის!

## წინა ხელისუფლების პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ომის დაწყების პირველივე წუთიდან ჩაიდინა საშინელი ღალატი!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, რომ ქვეყნისთვის ომი თავიდან აეცილებინა.**



პასუხისმგებლობა იყო და არის ხელისუფლების, ნებისმიერი ხელისუფლების, ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ქვეყანას მოევლინოს, არის ომი. ომის პარტიამ და მოღალატეთა პარტიამ, არ მოვერიდები ამის თქმას, რადგან ძალიან ბევრი რამ ვიცი, რაც თქვენ არ იცით და ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, სამწუხაროდ, ვუფრთხილდები რა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, თავს ვიკავებ ამ ინფორმაციების გაჟღერებისგან, ისევ და ისევ და ერთადერთი მიზნის გამო, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ინტერესი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ბუნებრივია, ეს უბედურება, ეს ტრაგედია, ეს ომი მოხდა წინა ხელისუფლების დროს. წინა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, რომ ომი თავიდან აეცილებინა ჩვენი ხალხისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის. შედეგად რა მივიღეთ, 20 პროცენტი არის დღეს ოკუპირებული, რუსული ჯარი გავიდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან 2007 წელს, ბოლო კონტიგენტი გავიდა ქვეყნიდან 2007 წელს, ვინ გავაკრიტიკო და ვინ დავგმო, თუ არა სამარცხვინო, მტრული ძალა, რომელიც მართავდა ჩვენს ქვეყანას. როცა რამდენიმე თვის შემდეგ, მათი უგუნური პოლიტიკის შედეგად შემოაბრუნა კიდევ უფრო მეტი მასშტაბით და აღარ მინდა, საუბარი გავაგრძელო. ჩვენმა გმირმა სამხედროებმა, ყველა სამხედრომ, მაშინდელი სამხედრო მმართველობა ვინც იყო, მე არ ვგულისხმობ გენშტაბის მეთაურს, იგი არის პოლიტიკურად ანგაჟირებული და მასზე არ ვსაუბრობ, მაგრამ სამხედრო მმართველობა, გმირი ოფიცრები, მათ იბრძოლეს თავდადებით, აჩვენეს გმირობის მაგალითი. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ომის დაწყების მომენტიდან, პირველივე წუთიდან ჩაიდინა საშინელი ღალატი, საშინელი დეზორგანიზება“!..

* * *

დღევანდელი დღე ყველა ჩვენგანისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს – რუსულ სამხედრო აგრესიას მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი, მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება და ჩვენი ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია, რაც ჯერაც მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და შემდგომი განვითარებისთვის.

დღეს კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს ომში დაღუპული ჩვენი გმირი სამხედროებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ნათელ ხსოვნას.

ჩვენი ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის გაერთიანების მშვიდობიანი გზის ერთგული რჩება; ჩვენ გვამოძრავებს ურყევი რწმენა, რომ მშვიდობიანი, ერთიანი, ძლიერი, განვითარებული საქართველო საუკეთესო პერსპექტივაა ქართველების, ოსების, აფხაზების, ჩვენს მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის, და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ეს მიზანი მალე იქცეს რეალობად!

8.08.2023



### ალექსანდრე ებანოიძე:

## ორი მწერლის გახსენება და არათანადროული აზრები

არც ისე დიდი დრო გავიდა მას აქეთ, რაც ქართულმა ლიტერატურამ აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა – ორმა დიდმა მწერალმა მიგვატოვა. ჯერ მძიმე ზნემ ოთარ ჭილაძე წაგვართვა, მერე კი მოულოდნელად რეზო ჭეიშვილი გარდაიცვალა თავის აია-ქუთაისში. ორივე იმხელა მასშტაბის მწერალი იყო, რომ მათთან დაკავშირებული მცირე ლიტერატურული შემთხვევაც კი ქართული ლიტერატურის ისტორიას მიეკუთვნება. ერთ ასეთ ფაქტს ვუზიარებ მკითხველს. ორივეს კარგად ვიცნობდი – პირადად, უფრო კი შემოქმედებით.

ორივეს თაყვანს ვცემდი, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ წარმომადგენელს. ერთმა შემთხვევამ, თითქოს მცირემ და უმნიშვნელომ, საფიქრალი გამიჩინა. მაგრამ ჯერ მოკლე წინასიტყვაობა.

იხ. 6-7 გვ.

### „ჭყვლიადის ეპოქის“ ქართული მარგალიტები



### ანი ლორია:

## მიმიფურთხებია თქვენი 🤮 სიმართლისთვის, მაესტრო!





# ილია მეორე: ჩვენი სამშობლო აუცილებლად აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას, ღვარძლით, ურთიერთმტრობით, სიცრუით ამას ვერ მივაღწევთ!

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 2008 წლის აგვისტოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვას ავრცელებს.

**15 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან, რის შემდეგაც, აფხაზეთთან ერთად, უკვე საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი იქნა ოკუპირებული რუსეთის მიერ.**

**საერთაშორისო დონეზე არაერთხელ განგვიცხადებია და კვლავ გავიმეორებ, რომ ცხინვალის რეგიონიც და აფხაზეთიც ჩვენი ძირძველი მიწა და განუყოფელი ნაწილია! ჩვენი სამშობლო აუცილებლად აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას, მთავარია, სათნო ვეყოთ შემოქმედს, რომ ღირსნი გავხდეთ მისი წყალობისა. შუღლით, ღვარძლით, ურთიერთმტრობით, სიცრუით... ამას ვერ მივაღწევთ და ამაზე ყველა უნდა დავფიქრდეთ.**

**საქართველოს ეკლესია ყოველ წირვაზე აღავლენს ლოცვებს, როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ისე ერის სულიერი ერთობისათვის; ასევე მუდამ ვიხსენიებთ სამშობლოსთვის თავდადებულთ და ახლაც შევთხოვ ღმერთს, მართალთა თანა განუსვენოს და წიაღი აბრაამისა დაუმკვიდროს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გარდაცვლილ ძმათამკვლელი ომის მსხვერპლთ, მათ შორის, ოსებსაც და აფხაზებსაც.**

**ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მშვიდობით აკურთხოს მათი ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები და ინებოს ჩვენი გაერთიანება, ჩვენი ძველი ურთიერთობების აღდგენა, ამინ. ღმერთმა ერთობით აკურთხოს სრულიად საქართველო!**

* * *

**რაჭაში ახლახან მომხდარი სტიქიური უბედურება დიდი განსაცდელია ქვეყნისთვის; მთელი საქართველო, და ჩვენც, ფრიად ვწუხვართ და გულითადად ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს,** – ამის შესახებ ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სამძიმრის წერილში. მინდა, დღეს უფალს დიდი მარხვის სავედრებლის სიტყვებით მივმართო:

**„რომელნი შთანთქა წყალმან, რომელნი მოსრნა წვიმამან და ღვართა და ნაფშვენმან სიმრავლემან შეაშთვნეს და დაფარა ქვეყანამან, ძვრამან და სვრამან და პირადპირადმან სიკვდილმან, და მდინარეთა და წყაროთა შინა, სახლითა განგლილთა (სახლის ნანგრევებში მოყოლილთა) დაძვრისაგან დაფარულთა... სარწმუნოებით შენდა მოსულთა მორწმუნეთა, ქრისტე ღმერთო, წყალობით განუსვენე“.**

**ყოვლადწმინდაო სამებაო, ასევე გევედრები, გარდაცვლილთა ოჯახის წევრები და ახლობლები განამტკიცე, განაძლიერე და მშვიდობით შენით აკურთხე; დალოცე და სასოება შენი მოჰმადლე სრულიად საქართველოს, ამინ!“**



## შალვა პაპუაშვილი: 6 აგვისტოს დაიღუპა ჩვენი ორი სამშვიდობო, რა გინდათ თქვათ, რომ ესენი ომის მსხვერპლნი არ არიან?

**აი ამაშია მთელი საქმე, ეს ომი არც 7 აგვისტოს დაიწყო და არც 12 აგვისტოს დასრულდა,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მუხათგვერდში განაცხადა.

**ეს ომი დაიწყო 1801 წელს საქართველოს ოკუპაციით და ანექსიით და გრძელდება მანამ, სანამ საქართველოს ერთი კვადრატული სანტიმეტრი მაინც ექნება ოკუპირებული რუსეთს. ეს არის სინამდვილე. რაც შეეხება, თარიღებით მანიპულაციას, ერთადერთი მიზანი აქვს ამას მხოლოდ, რომ გახლეჩა შემოიტანოს საზოგადოებაში. კიდევ ერთხელ, მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა, თავად დააწესეს ეს დღე, როგორც დღე, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თარიღში დაღუპულების პატივის მიგებას და კიდევ ერთხელ 6- ში დაიღუპნენ, 7-ში, 8-ში, 9 -ში, 10-ში, 11-ში, 12 -ში და ყველას ერთად მივაგებთ პატივს 8 აგვისტოს. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ტრადიცია. ამ ტრადიციებს ჩვენ უნდა ვცეთ პატივი და ეს არის სწორედ სახელმწიფოებრივი აზროვნება,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## ირაკლი კობახიძე: 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა განახორციელა აგრესია და მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა უდიდესი ღალატი!

**ჩვენმა ჯარისკაცებმა აჩვენეს ქართველი კაცის, ქართველი ჯარისკაცის გმირული სული, მადლობა მათ ამისთვის. დიდი იმედი მაქვს, მალე ახდება ის ოცნება, რომელსაც შესწირეს თავი ამ ადამიანებმა, იმედი მაქვს, მალე ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია, 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა უდიდესი ღალატი საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის წინაშე, ეს არის ტრაგიკული თარიღი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თუმცა ამასთან ერთად ეს დღეები, 2008 წლის აგვისტოს დღეები ჩვენ სიამაყითაც გვავსებს იმ გმირების თავგანწირვის გამო, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენს ქვეყანას.**

**კიდევ ერთხელ ჩვენმა ჯარისკაცებმა აჩვენეს ქართველი კაცის, ქართველი ჯარისკაცის გმირული სული, მადლობა მათ ამისათვის. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ახდება ის ოცნება, რომელსაც შესწირეს თავი ამ ადამიანებმა, იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება, გაერთიანდება. ეს იყო მათი ოცნება, ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი გმირების სულები“!**

## კახა კალაძემ აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო

დედაქალაქის მერი კახა კალაძე მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდა, სადაც მან 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილების გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

**„15 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან, რომელმაც დაგვაკარგვინა კიდევ უფრო მეტი ტერიტორია, დავკარგეთ მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩვენი გმირი ჯარისკაცები, პოლიციელები. ჩვენს შვილებს ბევრი უნდა ვესაუბროთ ამ გმირების შესახებ. დღეს, ყველაზე დიდი გამოწვევა რაც გვაქვს, არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა,**



**შესაბამისად, ჩვენ არა მხოლოდ პასუხისმგებლობა, ვალდებულება გვაქვს, დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები, გავაერთიანოთ ქვეყანა და მჯერა, ერთად მოვახერხებთ ერთმანეთის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნებას“!**

დედაქალაქის მერთან ერთად, დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს თბილისის საკრებულოს თავჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, მერის მოადგილეებმა ირაკლი ბენდელიანმა, ანდრია ბასილაიამ და კახა გულედანმა.

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: რუსეთმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია

– ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა, მეთიუ მილერმა გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„მე უბრალოდ ვიტყოდი რუსეთის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, რომ თუ გადავხედავთ იმ სანქციებს, რომლებიც ჩვენ რუსეთს დავუწესეთ უკრაინის ომის დაწყების შემდეგ და დიახ, ეს არის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, ამან შეამცირა რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები.**

**ამან ზიანი მიაყენა რუსეთის ეკონომიკას. ასე რომ, ვფიქრობ, რუსეთის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი პიზიცია“,** – აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა.

## აზერბაიჯანის საგარეო უწყება: მხარს ვუჭერთ საქართველოში კონფლიქტის მოგვარებას ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს ომიდან მე-15 წლისთავს ეხმაურება.

**„ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოში კონფლიქტის მოგვარებას სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე მათ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“.**

იხ. 4 გვ.

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

# განცხადება!!!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 4-6 ოქტომბერს ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.

მისამართი: თბილისი ივ. ჯავახიშვილის ქ. 51

სამეცნიერო სტატიები მიიღება 2023 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge

## ირაკლი ღარიბაშვილი: მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ დროულად განხორციელდეს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

**იცით, რომ მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ დროულად განხორციელდეს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები, მათ შორის სამწუხაროდ, ჩვენი დაღუპული მოქალაქეების ძებნის სამუშაოები,** – ამის შესახებ პრემიერმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გამოთქვა მწუხარება მომხდართან დაკავშირებით.

**„დიდი ტრაგედიაა, ეს არის საშინელი ტრაგედია, ამდენი ადამიანი დაიღუპა, შეეწირა ამ სტიქიას და რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ ვიზიარებ ჩვენი მთელი საზოგადოების მწუხარებას"!..**



## რომის პაპამ ახალგაზრდებს შოვში დაღუპულებისთვის ლოცვისკენ მოუწოდა

**რომის პაპა ფრანცისკემ მორწმუნეებს მოუწოდა საქართველოში, შოვში მეწყერის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთათვის ილოცონ,** – ინფორმაციას ამის შესახებ |fnbwfy Ntoc-ი ავრცელებს.

შესაბამისი განცხადება კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა ლისაბონში, ახალგაზრდებთან შეხვედრაზე გააკეთა. მან დამსწრეებს სთხოვა შეუერთდნენ ლოცვაში **„იმ ტრაგიკული მეწყერის შედეგად გარდაცვლილებისთვის, რომელიც ორი დღის წინ, საქართველოს რეგიონ რაჭაში ჩამოწვა".**

ფრანცისკემ მხარდაჭერა გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს და სამძებრო-სამაშველო ჯგუფებს და აღნიშნა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გვერდითაა. **„მე ჩემს ძმასთან საქართველოს პატრიარქ ილია მეორესთან ახლოს ვარ"...**





## გუდაურში დაღუპული პილოტის ზაზა ლორიას შვილი ნიკოლოზ რაჭველს:

## მიმიფურთხებია თქვენი სამართლისთვის, მაესტრო!



2022 წელს გუდაურში მომხდარი ტრაგედიისას დაღუპული მფრინავის, ზაზა ლორიას შვილი შოვში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით მფრინავი მაშველების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმიანება.

როგორც ის სოციალურ ქსელში წერს, ვერავის აპატიებს მათ მიმართ გადაკრულ სიტყვას და მათ ინტერესებს ყველგან დაიცავს.

„ამერიკის შეერთებული შტატები. 2 თვის წინ, ღამის 9 საათზე, ვაშინგტონში ჩამოწოლილი ღვარცოფის შედეგად 11 ადამიანი და ერთი ძაღლი ჩარჩა ტერიტორიაზე. ქარის ფაქტორის გამო, უსაფრთხოების მიზნით ვერ მოხერხდა ღამის ფრენებზე ვერტმფრენის გაგზავნა. 12 საათის შემდეგ, გამთენიისას მოხდა მათი ევაკუაცია.

ნეტა თუ ჩაქოლეს და „მაშველებს ეძინათ?" ეძახეს? ნეტა თუ მიწასთან გაასწორეს რატომ ერთ საათში არ მოფრინდნენო? ნეტა მამაჩემს რომ შარშან გამოეცხადებინა უსაფრთხოების მიზნით ვერ გაფრინდება ვერტმფრენი და წამოსულიყო ჩემთან, რას უზამდნენ?

ნეტავ, თუ ცოცხლად დამარხავდნენ იმ 7 ადამიანთან ერთად! ნეტავ, თუ კარგია რომ შეაკლა თავი?! ბორჯომის ხანძრების დროს თურქეთის ავიაცია დაიქირავეს დასახმარებლად! 4 საათი იფრინეს და გააჩერეს ვერტმფრენები. ძლიერი დაკვამლიაანების გამო პილოტების უსაფრთხოების მიზნით მეტს ვერ ვიფრენთოო.

მამაჩემი და მისი ეკიპაჟი გათენებიდან მზის ბოლო სხივამდე ენაგადმოგდებულები რომ დაფრინავდნენ, დღის ბოლოს ფეხზე რომ ვეღარ იდგნენ, ისმენდნენ, რატომ შეაჩერეს ღამის ფრენებიო!

გაბრაზებულმა რომ ავდექი და ვუთხარი, ჰოდა, რა თავს იკლავთ, დაგესვენათ და გეთქვათ თქვენც უსაფრთხოების მიზნით ვეღარ გავფრინდებითო: „ჩემი ქვეყნის ტყე იწვის, მაგათ რა ადარდებთ" მივიღე პასუხად!

მამაჩემის პანაშვიდებზე მოსულ ბიჭებს სულ გულის ფიცარში რომ ვურტყი მუჯლუგუნები, არ გაბედოთ მისხალი რისკის ფასად არსად გაფრენა-თქო, ორსიტყვიანი პასუხი გამცეს: „აბა როგორ?".

მთელი ბავშვობა ყოველ დილით რომ შუბლზე კოცნით გვემშვიდობებოდა მამაჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, წასვლის წინ კარზე გაკრულ „სახლიდან გასვლის წინ ლოცვას" რომ კითხულობდა ოჯახის ტრადიცია მეგონა. მოზრდილმა რომ ვკითხე, რატომ აკეთებდა ამას? „მე ისეთი პროფესია მაქვს კარს რომ მოვიხურავ უკან დავბრუნდები თუ არა, არ ვიცი" მივიღე პასუხად.

ნეტა რომელიმეს პირით ერთი გადაკრული წუწუნი მაინც თუ მოგისმენიათ წლებია, ნეტა რომელიმეს გულში თუ ჩაგიხედავთ – „პილოტებს ეძინათ" კომენტარებს რომ კითხულობენ.

ნეტა ადამიანების დაფასებას თუ ისწავლით როდისმე?

დღეს ნიკოლოზ რაჭველი „ვერ პატიობს" სიცოცხლეს. დღეს ტალახში ჩამხრჩვალი ადამიანების ბრალეულობა იპოვეს მფრინავებში. მიმიფურთხებია თქვენი სამართლისთვის, ბატონო მაესტრო!

ჩემი გულის ფეთქვა ხართ, ბიჭებო, მამაჩემი ხართ თითოეული თქვენგანი, ბიჭებო! არ გაბრაზდეთ, არ გეწყინოთ! მე რა შემიძლია, მაგრამ ყველგან ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირებ და თქვენს ინტერესებს დავიცავ! ერთი ადამიანის გონებამდეც თუ მივიტან თქვენს ფიქრებს ბედნიერი ვიქნები!

გასკდა გული, განმიახლდა ჩემი მოუშუშებელი ტკივილები, სულის ყველა ნაწილში მტკივა ტალახში ჩამხრჩვალი ხალხი და მათი ოჯახის წევრების გულებში ვერჩამქრალი იმედის ნაპერწკალი. თავს შევაკლავ და არ ვაპატიებ არავის ერთ გადაკრულ სიტყვას!

მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა, გაკმაროთ თქვენც და სრულიად საქართველოს!".

**ანი ლორია.**



## თამთა მეგრელიშვილი: „ქართული ოცნება" არ დგას სისხლსა და გვამებზე!

– **ტრაგედია,** როგორც წესი, ადამიანებს აერთიანებს, მაგრამ არა ქართულ რეალობაში. აქ ტრაგედია ოპოზიციისა და მასთან დაახლოებული ადამიანების ხელში სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკურად გასაქილიკებელი იარაღია.

ისინი წლებია, ელოდებიან ახალ გირგვლიანს, ახალ მოლაშვილს, თეთრაძეს, რათა გადაიფარონ ის სისხლიანი მმართველობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დროს იყო, მაგრამ „ქართული ოცნება" არ დგას სისხლსა და გვამებზე, ეს ძალა ადამიანის ინტერესებზე მორგებული პოლიტიკის შემოქმედია.

მომხდარი ტრაგედიის მიმართ ემოციები ლოგიკურია, მაგრამ როცა ამას თან სდევს უსაფუძვლოდ ხელისუფლების დადანაშაულება, ეს უკვე გამიზნული პოლიტიკური შინაარსია, რომელსაც გააზრებულად, თუ გაუაზრებლად იმეორებენ საკუთარ საქმეში წარმატებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

მაგალითად, არ შეიძლება, ნიკოლოზ რაჭველი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს სამაშველო ოპერაციის ჩატარების ტექნიკაზე, აფასებდეს მიმდინარე ოპერაციას.

მით უფრო უარგუმენტოდ ადანაშაულებდეს სახელისუფლებო გუნდს, თან რაში? – უმოქმედობაში,

როცა ყველა ხედავს, რომ სახელისუფლებო გუნდი და სახელმწიფოს ყველა უწყება ფეხზე დგას!

რაც შეეხება ყბადაღებულ თემას შვეულმფრენის შესყიდვასთან დაკავშირებით:

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფრანგულ კომპანია „Airbus Helicopters-თან" 3 ახალი შვეულმფრენის შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით სასაზღვრო პოლიცია H145-ის ტიპის 3 შვეულმფრენს ელოდება.

H145 მრავალფუნქციური შვეულმფრენია, რომელსაც შეუძლია, შეასრულოს პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციები. ახალი შვეულმფრენები სრულადაა დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. მათ გააჩნიათ 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას. ამ



ტიპის შვეულმფრენი დიდ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადი იქნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ქართულ მხარეს პირველი შვეულმფრენი კონტრაქტის ხელმოწერიდან 17 თვეში გადმოეცემა, ხოლო სამივე საავიაციო ტექნიკა – 20 თვემდე პერიოდში საქართველოში იქნება სრულ საფრენოსნო მდგომარეობაში.

მორჩით პოლიტიკურ სპეკულაციებს, „ქართულ ოცნებას" არ ჰყავს და არ ეყოლება მოკლული გირგვლიანი, ნაწამები თეთრაძე, მოლაშვილი და სხვები...



## თამარ ჩიბურდანიძე: ამხელა ტრაგედიის დროს მარტო ქართული ოპოზიცია თუ გააოგნებდა მსოფლიოს!

**„დღეს გლოვის დღეა, უმძიმესი ტრაგედიის დღე საქართველოსთვის.** მოვიხსენიებთ გარდაცვლილებს და უფალს შევთხოვთ, გვაკმაროს ტკივილი. მთელი მსოფლიო გვისამძიმრებს ამ დიდ ტრაგედიას, ვიღებთ პირად გზავნილებსაც.

თანამედროვე მსოფლიოსთვის სტიქიური უბედურება უცხო არ არის. გლობალური დათბობისა თუ სხვა კატაკლიზმების შედეგად, სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღე ვხედავთ მსგავს ფაქტებს სხვადასხვა ქვეყანაში. უკვე ისეთი შემთხვევები გვაქვს ნანახი, რომ აღარაფერი გვაოგნებს. გამაოგნებელი არის ის, რომ ყველა ქვეყანაში, მით უმეტეს დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მსგავსი შემთხვევების დროს პოლიტიკური სპექტრი სრულად ერთიანდება და არც ერთი ოპოზიციური პარტია არ კადრულობს იმას, რომ ამ დროს არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპირდეს, მით უმეტეს, ტყუილებითა და „ფეიკ ნიუსებით".

გაოგნებულნი არიან ჩემი უცხოელი მეგობრები. ისინი ეცნობიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და, მათ შორის, ოპოზიციის განცხადებებსაც. რამდენიმე ამჟამად აქ იმყოფება საქართველოში და მათთვის კიდევ უფრო ცხადია, თუ რა ფსკერზე არიან ოპოზიციური პარტიები. ისინი არ გამოირჩევიან არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ ღია სუბიექტური დამოკიდებულებით, მაგრამ ამ დღეებში ვერ მალავენ ოპოზიციური ლიდერების განცხადებებზე აღშფოთებას.

ეს ტრაგედია ხომ უდიდესი ტკივილია ჩვენთვის, მაგრამ არანაკლები ტკივილია იმის გააზრება, თუ რა დონეზე დაეშვნენ ქართველები, როგორ არიან დაბრმავებულნი ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით, როგორ გამოამჟღავნეს საკუთარი სახეები ხელისუფლების ვითომდა ფაქტზე დაჭერის მიზნით, რეალურად კი ისევ დეზინფორმაციითა და ტყუილებით კვებავენ საზოგადოებას. უზნეობისა და უსინდისობის ზეიმია ქართულ ოპოზიციაში.

შესაბამისი სიტყვა კიდევ ვერ ვიპოვე ქართულ ლექსიკონში. ასეთ აღვირახსნილ ქმედებას ამხელა ტრაგედიის დროს მარტო ქართული ოპოზიცია თუ ჩაიდენდა. მათ მართლაც გააოგნეს მსოფლიო"!

## ენტონი ბლინკენი:
# აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს!



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მე-15 წლისთავს ეხმიანება და აცხადებს, რომ შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

**„დღეს 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა საქართველოში და მოახდინა მისი მიწის 20%-ის ოკუპაცია. რუსეთი კვლავ უარს აცხადებს ცეცხლის შეწყვეტის 2008 წლის ვალდებულებების შესრულებაზე. აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“,** – აცხადებს **ენტონი ბლინკენი.**

ცნობისთვის: რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 15 წელი გავიდა. 2008 წელს აგვისტოს დასაწყისში გორის მუნიციპალიტეტში ვითარება დაიძაბა, რომელიც 7 აგვისტოს გამწვავდა, რასაც ხუთდღიანი შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა.

რუსულმა ავიაციამ იერიში მიიტანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განლაგებულ სამხედრო ბაზასა და აეროპორტზე, ორჯერ დიბომბა გორი, მათ შორის გორის სამხედრო ბაზის ტერიტორია. რუსულმა ავიაციამ თბილისის ვაზიანის სამხედრო ბაზა, საავიაციო ქარხანა, ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზებიც დაბომბა.

2008 წლის ჯერ კიდევ 5 აგვისტოს როკის გვირაბის ჩრდილოეთით, რუსეთის მხარეს სამხედრო მძიმე ტექნიკის ათასობით ერთეული და ათასობით ჯარისკაცი იყო მობილიზებული და საქართველოში შემოსვლას ელოდებოდა. მათ ნაწილს კი გვირაბი უკვე გადმოკვეთილი ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, კრემლი დღესაც ამტკიცებს, რომ „8 აგვისტოს იძულებული გახდა ცხინვალის მოსახლეობა ქართველებისგან დაეცვა“.

2008 წლის აგვისტოს ომს საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე და 14 პოლიციელი შეეწირა. თავდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, დაღუპულად მიიჩნევა 169 სამხედრო მოსამსახურე. ომის დროს დაიჭრა 1747 ადამიანი. საკუთარი სახლი დატოვა თითქმის 150 000-მა პირმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 000-მდე ადამიანი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს შუამავალი იყო იმ დროისთვის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზიმ და რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მოსკოვში მოაწერეს ხელი საქართველოში საბრძოლო მოქმედებების დასრულების 6-პუნქტიან შეთანხმებას. ამ დოკუმენტის პირობებს რუსეთი დღემდე არღვევს და უარს ამბობს ომამდელ პოზიციებზე დააბრუნოს საკუთარი სამხედროები.

ომის დასრულებიდან მალევე რუსეთმა საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა.

მიმდინარე წლის აპრილში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ რუსეთის ფედერაციას საქართველოს მოქალაქეებისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 130 მილიონამდე ევროს გადახდა დააკისრა, 2008 წლის აგვისტოში ქვეყანაში შეჭრის საქმეზე.

## ვოლოდიმირ ზელენსკი:
# 15 წელი გავიდა, რუსული ოკუპაცია რჩება - ეს ჭრილობა რჩება ქართული სახელმწიფოს სხეულზე



ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავის ყოველდღიურ მიმართვაში მადლობა გადაუხადა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელიც უკრაინელებთან ერთად იცავს თავისუფლებას და განსაკუთრებით მათ, ვინც უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების შემადგენლობაში იბრძვის.

**„15 წელი გავიდა, რუსული ოკუპაცია რჩება - ეს ჭრილობა რჩება ქართული სახელმწიფოს სხეულზე. უკვე ბევრი ითქვა, რომ 2008 წელს მსოფლიო პრინციპული რომ ყოფილიყო, ბევრი რამ სხვაგვარად იქნებოდა. უკვე მაშინ რუსეთს უნდა გაეცნობიერებინა, რომ აგრესორი აგრესიაში ყველაზე დიდ ფასს გადაიხდის. ეს აუცილებლად უნდა გააცნობიეროს ახლა. როდესაც უკრაინა მოიგებს ამ ომს, ის არა მხოლოდ შეაჩერებს რუსეთის აგრესიული მადის ზრდას, არამედ გადაარჩენს სხვა ერებს იმისგან, რასაც ჩვენ გავდივართ – უკრაინა, საქართველო და მოლდოვა. ჩვენი გამარჯვება ყველას დაუბრუნებს ნორმალურობას – ეს დაასრულებს რუსეთის ოკუპაციას. უკრაინელები სოლიდარობას უცხადებენ ქართველ ხალხს და მადლობას ვუხდი საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც ჩვენთან ერთად იცავს თავისუფლებას! და განსაკუთრებით მათ, ვინც უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების შემადგენლობაში იბრძვის! გაიმარჯვებს თავისუფლება, გაიმარჯვებს საქართველო, გაიმარჯვებს უკრაინა“!**

## ბრიტანეთის საელჩო:
# ჩვენ გვახსოვს დაკარგული სიცოცხლეები, გაყოფილი ოჯახები!..

**„2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წელი გავიდა, ჩვენ გვახსოვს დაკარგული სიცოცხლეები, გაყოფილი ოჯახები, თემები და რუსეთის აგრესიის მუდმივი ზეწოლა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. გაერთიანებული სამეფო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს“!**

– ამის შესახებ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.

## საქართველოში გერმანიის საელჩო:
# გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას

**„რუსეთ-საქართველოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებულ გვირგვინის შემკობის ცერემონიაზე პატივი მივაგეთ დაღუპულთა ხსოვნას. გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“,** – ნათქვამია განცხადებაში.

## პოლონეთის საელჩო:
# ვგმობთ სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის ანექსიას

პოლონეთის საელჩო საქართველოში რუსეთის აგრესიის მე-15 წლისთავზე ქართველ ხალხს სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

**„საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მე-15 წლისთავზე, სოლიდარობას ვუცხადებთ ქართველ ხალხს, მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ვგმობთ სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის ანექსიას“,** – აღნიშნულია საელჩოს განცხადებაში.

## ვასილ მაღლაფერიძე:
# ქვეყანაში ერთმანეთის არ გვესმის, იგივე ხდება სამეურვეო საბჭოშიც!

### სხვადასხვა საქართველოს ვაშენებთ და ერთდროულად ორივე საქართველოში ცხოვრება შეუძლებელია!



**კახა კალაძის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია შესაძლოა გარეგნულად პოლიტიკურს ჰგავს, მაგრამ გავა დრო და ამ მოვლენას ფსიქიატრები შეისწავლიან. მსგავსი შემთხვევა უკვე აღწერილია ლიტერატურაში, როდესაც ეშმაკეულის მიერ შთაგონებული ადამიანები ერთდროულად ამღერდნენ და გაჩერებას ვეღარ ახერხებდნენ.**

**ზუსტად იგივე ხდება ჩვენთანაც და, სამწუხაროდ, „მომღერალთა“ ამ გუნდს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთი წევრიც შეუერთდა. ვინაიდან ეს ქალბატონი საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა ფართო შეთანხმების გზით შეარჩიეს ბორდის წევრად, ცხადია, მას თანამოაზრეები ჰყავს საზოგადოებაშიც და ტელევიზიაშიც.**

**საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების ნაწილია და, ბუნებრივია, აქაც იგივე პროცესები ვითარდება, რაც – მთელ ქვეყანაში, სადაც ადამიანები გაყოფილები არიან მსოფლმხედველობრივად და სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ სიმართლეს და ტყუილს, კარგს და ცუდს, სიკეთეს და ბოროტებას, ისტორიას და მომავალს; ის რაც ერთისთვის წმინდაა, მეორეს ეზიზღება. და ეს ადამიანები, პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენენ ტელევიზიის პოლიტიკაზე.**

**კანონის მიხედვით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საზოგადოების დაკვეთა უნდა შეასრულოს, თუმცა, როცა საზოგადოება გაორებულია და ასე რადიკალურად არის გაყოფილი, საზოგადოების რომელი ნაწილი უნდა იყოს ტელევიზიის სამიზნე, კანონი აღარაფერს ამბობს?!**

**გაორებულ საზოგადოებაში, ბუნებრივია, გაორებულია ტელევიზიაც და საბოლოო ჯამში, ხდება ის, რაც ხდება, პროდიუსერები, წამყვანები თუ ჟურნალისტები საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე მოქმედებენ და იმ საზოგადოებაზე სწორდებიან, რომლის წინაშეც გრძნობენ პასუხისმგებლობას.**

**შედეგად ვიღებთ, რომ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მიუღებელი და გამაღიზიანებელია (კატეგორიულად!) გარკვეული გადაცემები, წამყვანები, გამოთქმული აზრები და ა.შ. მეორე ნაწილისთვის კი მიუღებელია სხვა წამყვანები და გადაცემები.**

**და, აი, სამეურვეო საბჭოსაც მივადექით. კანონის მიხედვით ტელევიზიის სამაუწყებლო პოლიტიკა სამეურვეო საბჭომ უნდა განსაზღვროს, თუმცა, ეს როგორ უნდა მოახერხონ სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებმა, რომელთაც, დიდწილად, სრულიად განსხვავებული ღირებულებები, ხედვები, გემოვნება და მოტივაცია აქვთ, კანონში აღარ წერია.**

**რატომ ვწერე ამ დილაადრიან ამდენი?! გამოაქვეყნა სამეურვეო საბჭოს წევრმა პოსტი (ბევრი მსგავსი პოსტი გამოაქვეყნეს სხვებმაც), სადაც როგორც წყლის წვეთში ისე ჩანს, როგორ ხედავს საზოგადოების რაღაც ნაწილი ქვეყნის აწმყოს და მომავალს, ადამიანთა ურთიერთობას, ცხოვრების აზრს, რა არის მათთვის სიკეთე და რა – ბოროტება. ამ პოსტით მან საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრი გამოხატა და, ისიც ცხადია, რომ ამ პოსტით დეკლარირებული ღირებულებები მათი საზოგადოების იდეურ საყრდენს წარმოადგენს. ასეთი მოცემულობა გვაქვს და ამას ვერ შევცვლით.**

**თუმცა, ასეთივე მყარი მოცემულობაა ისიც, რომ როგორც ერთ ადამიანს და ბორდის წევრს კანიბალური საზოგადოების ღირებულებები და მორალი სრულიად მიუღებლად მიმაჩნია. (დაახლოებით ასევე ფიქრობენ ბორდის ცალკეული წევრებიც, თუმცა, თავის სათქმელს თავად იტყვიან).**

**ამ ვითარებაში ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა მოახერხოს სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის და მოტივაციის მქონე ბორდმა მაუწყებლის პოლიტიკაზე ან პრიორიტეტებზე მსჯელობა და, მით უმეტეს, შეთანხმება.**

**ამ დილადრიან ამდენი საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემების გამო არ დამიწერია. საზოგადოებრივი მაუწყებელი მთელი საზოგადოების დაპატარავებული მოდელია და წყლის წვეთივით აირეკლავს მთელი საზოგადოების სურათს.**

**ქვეყანაში ერთმანეთის არ გვესმის, რადგან სხვადასხვა საქართველოს ვაშენებთ და ერთდროულად ორივე საქართველოში ცხოვრება შეუძლებელია!..**

# ქართველი მეცნიერი საერთაშორისო კონგრესზე

**ახლახან 16-20 ივლისს ქ. ოტავაში (კანადა) სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის (International Statistical Institute-ISI) ეგიდით ჩატარდა მსოფლიო სტატისტიკის კონგრესი ( World Statistics Congress2023 – WSC 2023), რომელშიც მონაწილეობდა 1500-ზე მეტი ადამიანი: მათ შორის – მკვლევარები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მსხვილი კომპანიების ლიდერები და პოლიტიკოსები.**

მკითხველს აქვე მინდა ორიოდე სიტყვით მოვახსენო აღნიშნული ინსტიტუტის (ISI) შესახებ. იგი დაარსდა 1885 წელს ქ.ლონდონში 81 გამოჩენილი სტატისტიკოსის მიერ, ხოლო დღეს მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ჰააგაში (ჰოლანდია).

**მისი დევიზია - „სტატისტიკური მეცნიერება უკეთესი მსოფლიოსთვის“**!, ხოლო მიზანი და ფუნქციები მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის ოფიციალური სამსახურების დაკავშირებაში სტატისტიკის წინაშე მდგარი რთული პრობლემების და საკითხების გადაწყვეტის მიზნით. სიტყვა **მეცნიერება** აქ გამიზნულად არის გამოყენებული და ხაზგასმულია, რომ სტატისტიკა არ არის მხოლოდ რაოდენობრივი მდგომარეობის დადგენა, არამედ ის გადადის ახალი თვისებრიობის შესწავლაში, ანუ როგორც საკუთრივ მეცნიერებაა განუსაზღვრელი, ასევე სტატისტიკაც.

ინსტიტუტი გახლავთ გამორჩეული, დამოუკიდებელი სტატისტიკური ორგანიზაცია, რომლის სტრუქტურაში შედის 7 ასოციაცია (ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაცია, სტატისტიკური დაკვირვების საერთაშორისო ასოციაცია, მათემატიკური სტატისტიკის და ალბათობის ბერნულის საზოგადოება, საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოება, სტატისტიკური განათლების საერთაშორისო ასოციაცია, სტატისტიკური გამოთვლების საერთაშორისო ასოციაციაცია) და 21 კომიტეტი. იგი ფარავს 150 ქვეყანას (რეგიონს).

**კონგრესზე წარმოდგენილი თემატიკა საკმაოდ ფართოა და საყურადღებო: სტატისტიკის მეთოდოლოგია; ოფიციალური სტატისტიკის აქტუალური ასპექტები; გარემოს სტატისტიკა; სტატისტიკური მოდელირება; ფინანსების და ბიზნესის სტატისტიკა; სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკა; სამუშაო ძალის ბაზრის სტატისტიკა; სოციალური უთანასწორების სტატისტიკა; შიდა და საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა; კოვიდ-19-ის მსოფლიოზე ზეგავლენის სტატისტიკა; ალტერნატიული სტატისტიკა და სხვა;**



თეიმურაზ ბერიძე

კონგრესზე ფუნქციონირებდა 100-მდე სექცია და ქვესექცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრიად საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის **თეიმურაზ ბერიძის** მიწვევა ზემოაღნიშნულ კონგრესზე, სადაც იგი წარსდგა მოხსენებით თემაზე **„Occupational analysis of demand and supply of skilled labor – a cornerstone of comprehensive labor market information for TVET (Technical and Vocational Education and Training planning“ („კვალიფიცირებული სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების – ტექნიკური და პროფესიული განათლება და მომზადება - გამოკვლევა, როგორც სამუშაო ბაზარზე ინფორმაციის დაგეგმვის ქვაკუთხედი“).**

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო: კვალიფიცირებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების, უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულების სიჭარბის (საქართველოსთვის დამახასიათებელი ნიშანია) და შესაბამისად, კვალიფიკაციის შეუსაბამობა სამუშაო ადგილებთან, კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია ქვეყნის შიგნით და უცხოეთში, სამუშაო ძალის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

განსაკუთრებით აღინიშნა ის, რომ უმუშევრობა შედარებით უფრო მაღალია კვალიფიციურ სამუშაო ძალაში, ვიდრე არაკვალიფიცირებულში. ამის ერთ-ერთი ახსნა გახლავთ ის, რომ კვალიფიცირებული სამუშაო ძალა თანხმდება მხოლოდ მაღალ ანაზღაურებაზე, ხოლო დაბალკვალიფიციური, ხშირ შემთხვევაში, დაბალ ანაზღაურებაზეც. მოხსენებაში გამახვილებული იყო ყურადღება საინჟინრო სპეციალობებზეც, ახალგაზრდების მომზადებაზე, რამეთუ, დღეს საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებლებში ძირითადად მოთხოვნაა ეკონომისტებსა და იურისტებზე.

კონგრესის მუშაობის ფარგლებში მოხდა ღირშესანიშნავი მოვლენა: საყოველთაოდ ცნობილ სტატისტიკოსს, პროფესორ კალუამპუდი რადკჰაკრიშნა რაო-ს (ინდოეთი) მიენიჭა საერთაშორისო პრიზი სტატისტიკაში. მისი კვლევები ძირითადად მოიცავდა სტატისტიკური მეთოდოლოგიისა და მეთოდების განვითარებას გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

კონგრესის დახურვისას, სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის პრეზიდენტმა სტეფენ პენეკმა და დირექტორმა კონჩიტა კლეივეგმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს ამგვარი ღონისძიების ჩატარების დიდი მნიშვნელობა. მომავალი კონგრესი ჩატარდება 2025 წელს ქ.ჰააგაში (ნიდერლანდები).

**ვფიქრობთ, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის სამეცნიერო ვიზიტი კანადაში კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო სტატისტიკური საზოგადოების საერთო ოჯახში ჩართვას.**

**დავით კბილაძე,**
ეკონომისტ-სტატისტიკოსი,
სდასუ-ს პროფესორი.



# ვიქტორ რცხილაძის „სასწაული“

**გამოიცა ვიქტორ რცხილაძის მორიგი ნაშრომი – თეოლოგიურ-ფილოსოფიური ესე სახელწოდებით „სასწაული“.**

ავტორი კრიტიკულად განიხილავს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამეფებულ პრაქტიკას, როდესაც წარსულის მოვლენებს განიხილავენ მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის ან პოზიტივისტური პოზიციებიდან გამომდინარე, რაშიც სცოდავდნენ ქართველი ისტორიკოსები – თვით ისეთი გამოჩინებულნი და სახელგანსმენილნი, როგორებიც იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვები. ამას ავტორი უპირისპირებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რომელიც მთლიანად თეისტურია. ასევე განიხილავს მწერლის რთულ ურთიერთობას იმჟამინდელ მარქსისტებთან (ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე), რამაც იმსხვერპლა იგი.

დაბოლოს, აზრის ლოგიკური განვითარებით, ავტორი დაასკვნის, რომ ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც დღეს საქართველო იმყოფება, მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენს მას.

# ელიაობა და დედოფლისწყაროობა – 2023

**რადგანაც ელიაობა დედოფლისწყაროელებისთვის გამორჩეულად ძვირფასია, 2013 წლიდან დამკვიდრდა ელიაობის და დედოფლისწყაროობის ერთ დღეს აღნიშვნის ტრადიცია.**

კულტურის ცენტრის წინ სპეციალურად დამონტაჟებულ სცენაზე ზღვა მაყურებლის წინაშე გაიმართა გალა-კონცერტი. წამყვანებმა ნანიკო ხაზარაძემ და თამუნა გომართელმა სცენაზე მოიწვიეს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, მათ მოსახლეობას და დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს სახალხო დღესასწაულები...

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნუგზარ პაპიაშვილმა დაასახელეს ცნობილი ადამიანები, რომელთაც წლეულს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. ესენი არიან:

**მაყვალა გონაშვილი** – პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**თამარ დავითური** – სოფელ არხილოსკალოს ამბულატორიის ექიმი, მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**იღუმენია სერაფიმა** (რუსუდან კაპანაძე) – წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, სულიერი ცხოვრების ამაღლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**ილია ბეგიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**ამირან სალუქვაძე** – სამხედრო ექსპერტი, ბრიგადის გენერალი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

მაყვალა გონაშვილმა საპატიო მოქალაქეების სახელით მადლობა



საპატიო მოქალაქეების წარდგენისას

გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და დასძინა: მე არბოშიკში დავიბადე და სკოლის ასაკამდე პაპა-ბებიასთან ვიზრდებოდი, დღესაც თვალწინ მიდგას ჩემი ულამაზესი სოფელი, სადაც ბავშვობა გავატარე და დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ რომ ამირჩიეთ. ეს მართლაც სიურპრიზი იყო ჩემთვის.

დღესასწაულს ესწრებოდნენ კახეთის გუბერნატორი **გიორგი ალადაშვილი,** საქართველოს პარლამენტის წევრები **ნინო წილოსანი** და **დავით სონღულაშვილი.** მათ მიულოცეს ადგილობრივ მოსახლეობას ორივე ღირსშესანიშნავი თარიღი და მომავალ წლამდე დაემშვიდობნენ...

წმინდა ელიის მადლი ფარავდეს დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს!

**ნანა ჭიჭინაძე,**
დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე



ნანუკა ხაზარაძე, თამარ დავითური,
მაყვალა გონაშვილი, ნინო წილოსანი



# ორი მწერლის გახსენება და არათანადროული აზრები

ალექსანდრე ებანოიძე



(პირველი გვერდიდან)

ოთარ ჭილაძის ხუთი რომანიდან ყველაზე მეტად პირველ, ანტიკურ რომანს ვაფასებ – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მისი ძლიერი შთაბეჭდილება, ნატიფი და დახვეწილი დაგემოვნება დღემდე შემრჩა.

ჩემი აზრით, ჭილაძის პროზის „დიაგრამა“ შემდეგ ნელ-ნელა ქვემოთ დაეშვა. „ყოველმან ჩემმან მპოველმან...“ შესანიშნავი რომანია; „რკინის თეატრმაც“ ივარგა – ბოლო კარის გარდა, რომელიც ლაბორატორიული ფსიქოლოგიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს. „მარტის მამალმა“ შედარებით მოისუსტა, „აველუმის“ გამო კი მე და ოთარს არასასიამოვნო შელაპარაკებაც კი მოგვიხდა.

იმ დროისთვის მოსკოვის ცნობილი ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი გავხდი. 90-იანი წლების დასაწყისში „დრუჟბას“ ტირაჟი თითქმის ორ მილიონს აღწევდა და სხვადასხვა ფაქტორის გამო რეპუტაციის ურყევი მატარებელი „ნოვი მირი“ უკან მოიტოვა. შევიტყვე თუ არა, რომ ჭილაძემ ახალი რომანი გამოაქვეყნა, ჟურნალის მეოთხე ყდაზე ანონსი ავაკრეფინე, თავად კი ოთარს დავურეკე, რათა გამერკვია, რას ნიშნავს სიტყვა – „აველუმ“. ყურმილი ზაზამ აიღო და ამიხსნა, რომ „აველუმ“ – შუმერული სიტყვაა და თავისუფალ მოქალაქეს ნიშნავსო. ვიფიქრე – თავის დროზე „თიხის სამი ფირფიტით“ აღტაცებულმა ოთარმა ისევ მითს შეუერთა შთაგონებითი ენერგია, თან თანამედროვეობას დაუკავშირა – „თავისუფალი მოქალაქე“ ხომ იმ წლების ლოზუნგი იყო. ვთხოვე, რაც შეიძლება სწრაფად გამოეგზავნათ ტექსტი. „დრუჟბამ“ მანამდე „ყოველმან ჩემმან მპოველმან...“ და „რკინის თეატრი“ გააცნო რუსულენოვან მკითხველს და ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩინა ავტორს. ამის გამო რედკოლეგიაც მოუთმენლად ელოდა რომანს.

მიღებისთანავე ელიზბარ ანანიაშვილს გადავეცი, თარგმანის ოსტატს, რომელსაც ჭილაძის სამი რომანი ჰქონდა ნათარგმნი. ერთ თვეში დამირეკა და, ცოტა არ იყოს, უცნაური, ეჭვშეპარული ინტონაციით მკითხა: „კი მაგრამ, საშა, თქვენ დაბეჭდავთ ამ რომანს?“ მის ინტონაციას ვერ მივუხვდი და ვუპასუხე: „არ ვიცი, ჯერ არ წამიკითხავს-მეთქი“ – „ჰო და წაიკითხეთ. ამხელა წიგნის თარგმანს უხელშეკრულებოდ ვერ შევუდგებიო...“

ოთხჯერ ჩავუჯექი „აველუმს“ და ვერ დავძლიე. რომანის კითხვა ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნიდა, როგორსაც ჭაობში მოხვედრილი ავტომობილი: მოტორი წივის, რეზინა იწვის, მანქანა კი ადგილიდან არ იძვრის.



ოთარ ჭილაძე ოპიზარების ბადალი ოქრომჭედელი იყო თავის საქმეში.

აქვე მოგახსენებთ, რომ წაკითხული მაქვს გერმანული რეცენზია, რომელშიც რეცენზენტი „აველუმს“ ბეთჰოვენის სიმფონიას ადარებს. რომანის რეცენზია მის მერე წავიკითხე, რაც გერმანული თარგმანი გამოიცა, მაგრამ ჩემი აზრი არ შეცვლილა.

ოთარს თბილისში შევხვდი შემთხვევით. გადასკვნილი მეგობრები მანამდეც არ ვიყავით, უფრო კაი ნაცნობობა გვაკავშირებდა. ნელთბილი დიალოგიც ბოლოს მთლად გაგვიცივდა. ოთარმა მითხრა: „იქნებ დაბეჭდო და მკითხველმა განსაჯოს რომანის ავკარგიანობაო...“ „კი მაგრამ, ყველაფერი თუ მკითხველს მივანდე, მე რისი მაქნისი ვარ“, – ვუპასუხე. მაშინ მოულოდნელი წინადადება მივიღე: „იქნებ შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდოო“... ასეთი რამ ოთარისგან არავის სმენია. „დრუჟბას“ ვეტერანებმა მიამბეს, რომ „რკინის თეატრის“ ბეჭდვისას რედკოლეგიამ გაუბედავად შესთავაზა სამიოდე მცირე შემოკლება და ჭილაძისეული პასუხი მიიღო: „არც ერთი სიტყვა!“ ახლა კი რომანის შემოკლებულ ვარიანტს მთავაზობდა...

ამ ამბავს პატარა გაგრძელება მოჰყვა. 2014-ში ქართულ ნომერს ვამზადებდით. ასეთი ჩემი რედაქტორობისას რამდენიმე გამოიცა. საკმაოდ მაღალხარისხოვან პროზას, პოეზიას და პუბლიცისტიკას მოვუყარეთ თავი. მაგრამ ნომერი მაინც წაიმსუბუქებდა და რედკოლეგიაზე გამოითქვა აზრი, იქნებ დაწუნებული „აველუმიდან“ დავუმატოთ ნაწყვეტი, ჭილაძისეული პროზა უთუოდ წონადობას შემატებსო. უყოყმანოდ დავთანხმდი: „კი, ბატონო, ამოარჩიეთ სამ თაბახამდე და წაუკითხავად ყაბულსა ვარ“. დატრიალდნენ ოთარის თაყვანისმცემლები, ფურცლეს მაია ბირიუკოვას მონდომებული თარგმანი, მაგრამ ხელცარიელები მეწვივნენ. აი უცნაურობა! გერმანელი რეცენზენტის აღტაცებას მაინც ნუ დავივიწყებთ: „ეს წიგნი ბეთჰოვენის სიმფონიას გვაგონებსო...“

2002 წელს, ერთ მართლაც მშვენიერ დღეს რედაქციაში მეწვია ჩვენს საელჩოში მომუშავე ნაცნობი ქალბატონი და „მნათობის“ ორი ნომერი მომაწოდა. მათში „გოდორი“ იყო დაბეჭდილი. ჩვენი საელჩო ორ ნაბიჯზე მდებარეობდა რედაქციისგან და ამანაც თუ შეუწყო ხელი საბედისწერო ვიზიტს.

„აველუმის“ შთაბეჭდილება არ მქონდა ბოლომდე მონელებული, რის გამო კითხვას ფრთხილად შევუდექი. მაგრამ „გოდორმა“ პირველივე გვერდიდან გამიტაცა, დამშანთა და ამავე დროს აღმაფრთოვანა. მხოლოდ ორი ლიტერატურული შთაბეჭდილება მაგონდება ესოდენ ვნებითა და ენერგიით დამუხტული – ახალგაზრდობაში ტოლსტოის „კაზაკები“ რომ წავიკითხე, მოგვიანებით კი ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“.

როცა პირველი ემოციები დამიცხრა, ოთარს მივწერე. სიყვარულითა და მოწიწებით მივულოცე დიდზე დიდი წარმატება და მადლობა გადავუხადე.

90-იან წლებში მოსკოვის გაზეთებში და რადიო „სვობოდა“-ში – კარა-მურზას პროგრამაში რუსეთს ვებრძოდი, საქართველოს პოზიციებს ვიცავდი. გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, წიგნად დავსტამბე, მაგრამ სამშობლოდან ისეთი მძიმე და გულისამრევი ინფორმაცია მოდიოდა, რომ სირცხვილსა და ტკივილს ვგრძნობდი. თბილისში ჩასვლა არ მომიხერხდა და როცა ერთ კოლეგასთან ამის გამო გულისტკივილი გამოვთქვი ტელეფონით, მიპასუხა: „მადლობა ღმერთს, რომ ამ დღეში არ გვხედავო!“

ეს ის დრო იყო, როცა თბილისის პოპულარული გაზეთი უტექსტოდ გამოვიდა, მის ცარიელ გვერდებზე დიაგონალით, მსხვილი ლათინური შრიფტით მხოლოდ ერთი სიტყვა-დიაგნოზი ეწერა: „AGONIA“. მაშინ ქათინაურებს შეჩვეული ქართველი საზოგადოება პირველად გამოფხიზლდა და აღიარა: „ჩვენ არ ვვარგივართ“. ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიური თუ ძალისმიერი უმწეობა, ჩვენი უსუსურობა ჩემშიც უსუსურობას აღვივებდა და გულს მიკლავდა.

და ოთარის „გოდორმა“ სასწაული მოახდინა, სული მომათქმევინა, თავს ლაფი ჩამომბანა და იმედიც კი დამიბრუნა. მართლაც, შეუძლებელი იყო, რომ „გოდორივით“ სრულყოფილი და ძლიერი ნაყოფი ნაგვის გროვიდან ამოზრდილიყო. ცხელ გულზე ესეც კი დავწერე მოკლე წერილში: „გადაჭარბების რომ არ მეშინოდეს, ვიტყოდი, რომ შეიძლება ყველა ეს უბედურება იმისთვის დაგვატყდა თავს, რომ ასეთი წიგნი შექმნილიყო“.

წერილი კონვერტში ჩავდე და ძველებური ფოსტით ოთარს გავუგზავნე.

ხუთიოდე დღეში დამირეკა და თავისი ვაჟკაცური, თითქოს ოდნავ მოგუდული ხმით მითხრა: „მგონი, შენმა წერილმა მე ისე ამაღელვა, როგორც შენ ჩემმა რომანმაო“.

რაღა თქმა უნდა, დაინტერესებული ვიყავი დროის ღრმად ამსახველი ქმნილება ჩემი ჟურნალის ფურცლებზე მეხილა. „რახან ასე გაგიტაცა, იქნებ თვითონვე თარგმნოო“, – მითხრა.

თარგმანმა ივარგა. თვით ოთარ ჭილაძემ – უსაშველოდ მომთხოვნმა ლიტერატურის ყველა წვრილმანში, ძალზე მაღალი შეფასება მისცა ჩემს ნამუშევარს. რაც შეეხება რუსულ პრესას, მგონი ზედმეტიც კი მოუვიდათ. პეტერბურგის „ნევა“ წერდა, „გოდორის“ თარგმანი XX საუკუნის კლასიკური რომანების პრუსტის, ჯოისის და ფოლკნერის უმანკო თარგმანებს არ ჩამოუვარდებაო. ამ შეფასებაში „გოდორის“ თავისებურება და დონეც ჩანდა.

ლიტინსტიტუტის თარგმანის კათედრის გამგემ რეცენზიას „ოსტატის მარჯვენა“ უწოდა და რომანის ავკარგიანობას თითქმის არ შეხებია, თარგმანს აქებდა და ჟუკოვსკის ცნობილი აფორიზმიც გაიხსენა: „პოეზიის მთარგმნელი მეტოქეა, პროზის მთარგმნელი კი მონააო“. თან დასცინა; „ვასილი ანდრეევიჩ, „გოდორის“ თარგმანი რომ წაგეკითხათ, აზრს შეიცვლიდითო“. კიდევ ერთმა რეცენზენტმა (შესანიშნავმა რუსმა მწერალმა), მთლად მიუშვა აღვირი: „ჩვენ მიერ წაკითხული „გოდორი“ ისეთი სილაღით და ენერგიითაა მოთხრობილი, რომ შეგვიძლია ალექსანდრე ებანოიძე რუსული ვერსიის ავტორად ვაღიაროთო“. ბოლო შეფასება უფრო იმისათვის გავიხსენე, რათა ოთარის შესანიშნავ რეაქციაზე მეამბა. ეტყობა რუსულ პრესას თვალყურს ადევნებდა, მწერლის მოსაზრებაც არ გამორჩენია და ტელეფონით მორიგი საუბრისას მითხრა: „შეიძლება, როგორც თანაავტორმა, პატარა შენიშვნა მოგცეო?“...

**ამ ამბის მეორე მოქმედი პირი, როგორც მოგახსენეთ, რეზო ჭეიშვილია. მის შემოქმედებას – მოთხრობებსა და ნოველებს ძალზე ვაფასებ. ჩემი აზრით, რომანი არ იყო რეზოს ჟანრი, ვერც „ქალაქში დინოზავრები დადიან“, ვერც „ჩემი მეგობარი ნოდარი“ მის ნოველებს ვერ გაუტოლდება. ზოგიერთ მათგანს იმ ბრწყინვალე რიგში ვხედავ, სადაც მოპასანის, ჩეხოვის და ჯოისის „დუბლინელების“ მოთხრობები მეგულება. რომელი ერთი გავიხსენო? „ლუკა პაჩიოლის უკანასკნელი დღეები“, „ბზიანეთი“; „მესამე მგზავრი“ ნოველებიდან შედგენილი, „მუსიკა ქარში“... მის „ცისფერ მთებს“ კინოშიც გაუმართლა.**

**შემთხვევით კი არ წამოსცდა რევაზ ინანიშვილს „სამაგიდო რვეულში“: „როგორი ოსტატობითაა დაწერილი მისი „კვამლი“ (ციტატა მოსაძებნია და არ გავაგრძელებ); მთავარი ისაა, რა კითხვას სვამს ინანიშვილი: „ნუთუ ევროპელი სახელმოხვეჭილები უკეთესად წერენ?!“ და ცოტა არ იყოს ბიჭური სიამაყით დასძენს – „ყოჩაღ, ჭეია!“**

* * *

**აი, კიდევ ერთი სახელი – ინანიშვილი! რა დიდებული მწერალი იყო, რა შესანიშნავ მოთხრობებს გვჩუქნიდა ჯარმაგებსა თუ პაწარებს. იცოდა, რისი ნიჭი არგუნა უფალმა და ვრცელი ნაწარმოების დაწერა არც კი უცდია. რა დიდებულ ქართულს ფლობდა და ქართული ბუნების როგორი მცოდნე იყო! ჩვენ იმ ხეების, მცენარეების თუ ფრინველების სახელები აღარც კი გვახსოვს...**

* * *

**ჭეიშვილის პროზას ახასიათებს დახვეწილი და ეკონომიური ოსტატობა, რომელიც მკითხველის ავტონომიაზე არავითარ აგრესიას არ ახდენს; თავის მხატვრულ სამყაროში ავტორს მკითხველი დელიკატურად შეჰყავს.** ამით მართლაც გვაგონებს ჩეხოვს, და, როგორც ექიმ ჩეხოვს ავადმყოფობის ყველა სირთულე ესმის, ეს კი მის გულში სევდას და თანაგრძნობას იწვევს.

ავტორის მიერ მოყოლილ ამბებში ყოფითობის აბსურდს მოულოდნელი ლირიზმი ათბობს, პოეზიას კი მწარე სარკაზმი გადაეღვრება ხოლმე. მიუხედავად თანდაყოლილი ქუთათური ირონიისა მისი შემოქმედება გამსჭვალულია თანაგრძნობით ადამიანისადმი, რომელსაც შიშები და ვნებები არ ასვენებენ, ამიტომაა, რომ რეზოს ძალზე სასაცილო მოთხრობებსაც კი სევდანარევი დაგემოვნება სდევს თან. გოგოლის თქმის არ იყოს: „ო, რა მოსაწყენია ამ ქვეყნად ცხოვრება, ბატონებო!“



ჭეიშვილის პროზა შუმი ქართული გამოდგა ნამდვილი „წინანდალივით“.

90-იან წლებში კი რეზოს თითქოს გული გაეყინა, მისი დახვეწილი გრავიურები ნაუცბათევად გადაღებულმა ფოტომ შეცვალა, პოეტური აურა მან კი არ დაკარგა, – განდევნა და მოგვივლინა „რუას“, „მეჭეს“ და „გივის“ ამაზრზენი სიცარიელე...

* * *

**ახლა კი, მოდით, გავიხსენოთ, რა დიდებული ლიტერატურა ხარობდა „წყეულ“ საბჭოეთში!**

**სადაა ახალი „ვარსკვლავთცვენა“, ახალი „ბორიაყი“ გენიალურად დახატული ლეკო თათაშელით! სადაა „სამოსელი პირველი“ შესანიშნავი პოსტმოდერნისტული მოთხრობების თანხლებით, ან „აჰა, მიიწურა ზამთარი...“**

**„დათა თუთაშხიას“ არც კი ვახსენებ; ასეთ წიგნს ერი საუკუნეობით ელის!**

**რომელი ერთი გავიხსენო კიდევ – ვრცელი თუ მორჩილა, რამდენი ჩქერი ერთვოდა ქართული ლიტერატურის მდინარეს: ჯავარიძის „ახლო არს ზაფხული“, გეგეშიძის „შურისძიება“, აბაშიძის „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!“, ქარჩხაძის „მაგნოლიის ყვავილი, ანუ ბებია ანას გარდაცვალება“, პაიჭაძის „იროდიონი“, „ბოტანიკური ბაღი“, ბეროშვილის „ლილი“, სიხარულიძის „მეათე მოწმე“, წულეისკირის „თუთარჩელა“ და „აფთარი“, შემ-**

# „წყვდიადის ეპოქის" ქართული მარგალიტები

№92. ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2023 წელი.

**დგომ „მონანიებას" რომ დაედო საფუძვლად, იოსელიანის უშზასავით უტეხი „ხარჯიხვი", მიშველაძის ირონიით სავსე მოთხრობები და მათ შორის მარგალიტივით მოკიაფე ლირიკული შედევრი „დეპეშა", ჩვენში გენდერული თემის გაყიდული დამფუძნებელი გელაშვილი „ამბრნით, უმბრნით და არაბნით", შატაიძის გულში ჩამწვდომი მარტივი ამბები, დაგვირგვინებული „აფრიკაში მოგზაურიბით"...**

**გასული ეპოქის მიღწევების ჩამოთვლას ახვლედიანის საოცარი „ვანო და ნიკოთი" განვაგრძობ. ერლომის იგავები დამყნილია ბიბლიაზე და ჩაპლინზე, და ამავე დროს ეროვნულია, ვით ხალხური ორნამენტი; სტურუამ შემთხვევით კი არ მოისურვა, პატარა ვანო და ნიკო რუსთაველის დიდ სცენაზე გადაენერგა.**

**რახან „ვანო და ნიკო" გავიხსენეთ, საწყისსაც ნუ დავივიწყებთ – გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულს" და „ალავერდობას", ჩვენი ლიტერატურის ახალი აყვავება რომ გვამცნეს.**

**ბოლოს და ბოლოს, ზურიკელამ რაღა დააშავა თავისი საყვარელი ბებიით, ილიკოთი და ილარიონით! ისინიც ხომ 60-იანი წლების დასაწყისში მოგვევლინენ – ჯერ „ცისკარში", მერე კინოში და სცენაზე. მაგონდება მარჯანიშვილში ნანახი სპექტაკლი, კინაღამ სული რომ ამომხადა სიცილით.**

* * *

**სიტყვამ მოიტანა და „წყვდიადის ეპოქის" კინოს და თეატრსაც გადავავლოთ თვალი.**

სად გაქრა ქართული კინო, მსოფლიოს კულტურულ მოვლენად რომ იყო აღიარებული?! ნუთუ შესახსენებელია ჩხეიძის და ზაქარიაძის „ჯარისკაცის მამა", იოსელიანის „გიორგობისთვე" და „იყო შაშვი მგალობელი", კვირიკაძის „მოცურავე", ესაძის „ნეილონის ნაძვის ხე", რეხვიაშვილის „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა" და „გზა შინისაკენ", ჩოხელის მოკლემეტრაჟიანი და სრულმეტრაჟიანი ფილმები, ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენა" და „უძინართა მზე", გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი" და „ვერის უბნის მელოდიები", ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა" და შერეკილები", ფარაჯანოვის „სურამის ციხე" და „აშუღი ქერიბი". ამ კინოშედევრების ჩამოთვლას დავასრულებ ოთხეულით, რომლისაც ნებისმიერ ჰოლივუდს თუ ჩინიჩიტას შეშურდება – „არ დაიდარდო!", „მიმინო", „ნატვრის ხე" და „მონანიება"...

სრულიად ცალკე მოსახსენებელია რევაზ გაბრიაძის უნიკალური ხელოვნება რომელიც იმ „წყვდიადში„ ჩაისახა და აყვავდა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მეტი არაფერი უნახავს.

შევეშვათ მარიონეტებს და თეატრს გადავავლოთ თვალი: ჭაბუკიანის „ოტელოს„ მივწვდეთ, ან გეგეჭკორის მიერ ნათამაშები „ჰამლეტი" მოვიხსენიოთ, მეღვინეთუხუცესის კრეონი „ანტიგონეში" და „ოტელო"; ან გაბრიაძეთუმანიშვილის „ჩვენი პატარა ქალაქი" და „დონ ჟუანი", შემდეგ კი სტურუას სასწაულებრივ სერიას ჩამოვთვლი – „ყვარყვარე თუთაბერი", „კავკასიური ცარცის წრე" და გარდასახვის ხელოვნების ევერესტი „რიჩარდ III", რომელმაც თეატრალური სამყარო შესძრა და თეატრის მოყვარულნი ავსტრალიიდან და კანადიდან აფრინა რუსთაველის გასტროლებზე ლონდონში.

უდავოდ დიდი მსახიობის ულიანოვის „რიჩარდ III" ვახტანგოვის თეატრში რამაზ ჩხიკვაძესთან უღრანში დაფეთებულ პიონერს წააგავდა...

ჩემს ხანგრძლივ და თეატრალური შთაბეჭდილებებით მდიდარ ცხოვრებაში რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის მიერ შექმნილი შექსპირისეული ბოროტების განსახიერება მიუწვდომელ მწვერვალად დარჩა.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენი პოეზიის საუნჯეს არცკი შევხებივარ, მხოლოდ გოეთეს ნათქვამს გავიხსენებ: „ლექსი კოცნაა, რომელსაც ქვეყნიერებას ჩუქნი, მაგრამ კოცნისგან ბავშვები არ იბადებიან..."

* * *

**გახსენებული წიგნი, ფილმი თუ სპექტაკლი ნაუცბათევად ჩამოვთვალე, ცხადია, ზოგი რამ გამომრჩა ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი. მაგრამ ერთი მეტად არათანადროული შეკითხვისათვის ეს ჩამონათვალიც საკმარისია.**

ვიდრე არათანადროულ კითხვას დავსვამდე, ბევრის მთქმელ ვითარებაზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: ჩამოთვლილი ხელოვანთაგანი არც ერთი არ უკმევდა გუნდრუკს კომუნისტებს. მიუხედავად ამისა, მათი წიგნები დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. (ჩემი „იმერული ქორწინების" საერთო ტირაჟმა მილიონს გადააჭარბა) და ბევრი მწერალი თუ რეჟისორი პრემიით აღინიშნა.

საბჭოეთის ავკარგიანობა სხვებზე ნაკლებად არ განმიცდია. თბილისში სტუდენტობისას სუკ-ში ვიყავი ნათრევი სასტიკ დაკითხვაზე საქმეში, რომელსაც დასავლეთის რადიოსადგურებმა შეარქვეს „საქმე დუნაევსკისა და სხვების" და რომელშიც ჩემს მეგობრებს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს 1957 წელს!

სამოცდაათიან წლებში მწერალთა კავშირმა ჩამიშალა თორმეტდღიანი მიწვევა ბარსელონაში, წიგნის ფესტივალზე, „იმერული ქორწინების" გამოცემასთან დაკავშირებით. მახსოვს, ჭაბუა მაგულიანებდა: „ამდენს რატომ უთმენო! დაემუქრე – ხვალვე შევყრი უცხოელ კორესპონდენტებს!..".

შემიძლია წვრილმანი უსიამოვნებანიც გავიხსენო, იმ დროს რომ არ ამშვენებდნენ. მაგრამ ობიექტურობის შენარჩუნება უნდა ვისწავლოთ. რაც კარგი იყო, გავიხსენოთ მადლიერებით, რაც არ ვარგოდა, უარვყოთ. **ჩვენ კი ისედაც გზააბნეულ ახალგაზრდობას ვატყუებთ წარსულის უხეში და გაუთავებელი ლანძღვით.**

არათანადროული შეკითხვა კი აი როგორი გამიჩნდა: ნუთუ ხელოვნება მხოლოდ ტოტალიტარიზმის მკაცრად შემორაგვულ ბაღში ხარობს?

რაღა თქმა უნდა – არა.

რომ არ შევცდეთ, მოდით, ჩვენს შემთხვევაში ტოტალიტარიზმს ძველი და ნამდვილი სახელი დავუბრუნოთ – სოციალიზმი, და თვალი არ ავარიდოთ იმას, რომ მსოფლიო სოციალიზმისკენ იხრება. **თვით ჯორჯ სოროსისგან მაქვს მოსმენილი: „თუ სიმდიდრის გადანაწილების მექანიზმი არ მუშაობს, უთანასწორობა აუტანელი ხდება".**

სოციალური განხეთქილების ინდექსი ყველაზე მდიდარ და ღატაკთა შორის დათვლილია, იგი 10-ს უდრის. ამ საზღვრის გადალახვას სოციალური აფეთქება მოჰყვება. ხომ საინტერესოა დღევანდელ საქართველოში ინდექსი როგორია?

ამის თაობაზე არაფერი მსმენია. ტელევიზორში მხოლოდ ჩხუბი და აყალმაყალი მესმის. ოპოზიცია ყოყლოჩინობს, გაუფასურებულ რუსულ ფულს აყრის მოწინააღმდეგეს, აქაოდა, რუსების მოსყიდულები ხართო. „რუსი" გინება გახდა ჩვენში, და არც კი აგონდებათ, რომ ვინცხა პუტინის, ლავროვის და შოიგუს გამო ტოლსტოის, ლერმონტოვის და მაიაკოვსკის ერს შეურაცხყოფენ.

**სიდინჯე და თავშეკავება! იმ დროში ნუღა დავბრუნდებით, როცა ჩვენი პოლი-**



უდავოდ დიდი მსახიობის ულიანოვის „რიჩარდ III" ვახტანგოვის თეატრში რამაზ ჩხიკვაძესთან უღრანში დაფეთებულ პიონერს წააგავდა...

**ტიკოსები თუ კომენტატორები შიშველი ტრაკის ჩვენებით და პირდაპირ ეთერში დედის გინებით გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ მრწამს.**

**დღევანდელმა მწვავე კონფრონტაციამ გამახსენა ჩემს ჟურნალში მიღებული წერილი იუგოსლავიიდან, სადაც ჩვენზე უარესი არეულობა მძვინვარებდა. მოძღვარი მოუწოდებდა მრევლს შეეწყვიტათ გაუთავებელი ლანძღვა-გინება, მუქარა და ტალახის სროლა და ასეთი სიტყვებით ამთავრებდა შეგონებას: „ჩვენ მხოლოდ სიჩუმეში თუ გავიგონებთ, რომ უფალმა გვაპატია".**

**ამ სიტყვებმა გავლენა მოახდინა ჩემზე. მე მივატოვე პოლემიკის უნაყოფო ყანა და განზე გავდექი.**

**იქნებ ჩვენმა პარლამენტარებმაც დაიოკონ ვნებანი, თუნდაც ნანატრ სტატუსამდე.**

მესამე ათასწლეულმა სწრაფად შეცვალა პირობები. ისეთი დრო დაგვიდგა, როდესაც ქართველობას საბედისწერო საფრთხე დაემუქრა. დემოგრაფია ზუსტი მეცნიერებაა, დემოგრაფები კი წინასწარმეტყველებენ, რომ 2050 წლისთვის ჩვენ – ქართველები გადაშენების ზღურბლს მივადგებით. ნუთუ გამართლდება „გოდორის" გმირის, ელიზბარის ნათქვამი: „შეიძლება ისიც კი გამოგვიცხადონ, რომ საქართველო საერთოდ ჟულიკი კარტოგრაფის მოგონილიაო?".

ამასთან დაკავშირებით ერთ შთამბეჭდავ ისტორიულ ფაქტს ვუამბობ მკითხველს. მეორე მსოფლიო ომიდან იაპონია განადგურებული გამოვიდა, ჰიროსიმათი და ნაგასაკით დამცირებული. ერმა შეიტყო, რა საშიშროება ემუქრებოდა. ათი წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა ჯერდებოდა იჭრაზე თეფშ ბრინჯს შუაში ჩაწვეთებული საწებლით. ასეთი ეკონომიის შედეგად, თავისივე სიმბოლოთი გამოკვებილებმა, ათი წლისთავზე მათ მსოფლიოს „იაპონიის სასწაული" მოუვლინეს – ყველაზე წარმატებულ შვიდეულში დაიმკვიდრეს ადგილი.

ცხადია, ჩვენ ვერ გავიაპონელდებით და ერთ თეფშ ლობიოს, თუნდაც ნიგვზით შეკმაზულს, ვერ დავჯერდებით. ჩვენ სხვაგვარი თვისება გვარგუნა უფალმა. მერაბ მამარდაშვილმა, რომელსაც არაფერი არ ეშლებოდა, ასე დაახასიათა ჩვენი მენტალური ბუნება: „სივრცეს, რომელშიც დავიბადე და აღვიზარდე, თავისებური ნიჭი ახასიათებდა. მე მას დავარქმევდი ცხოვრების, ანუ უკანონო სიხარულის ნიჭს". თითქმის იგივე დაწერა „ქართულ ალბომში" გამჭრიახმა ანდრეი ბიტოვმა.

რეზო გაბრიაძემ შემთხვევით კი არ შეარქვა თავის გენიალურ ფანტასმაგორიას „შერეკილები"; მან იცოდა მშობლიური ერის ბუნება და ხასიათი, უყვარდა იგი და ურმითა და ჭაჭის გამოსახდელი ქვაბით აფრინა ცაში, თან ლამაზი სიმღერა გააყოლა... მოდით, დანიშნულ კატასტროფამდე ხუთ მილიონამდე მაინც გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობა. ეს იქნება ჩვენი ცაში აფრენილი ურემი თავისი ლამაზი სიმღერით.

აუჰ, რამსიშორეზე შემიტყუა მართლაც რომ არათანადროულმა აზრებმა!

* * *

**ვუბრუნდები მთავარ სათქმელს.**

**თუ მკითხველს არ დაავიწყდა, ამბავში ორი დიდი მწერალია ჩართული – ოთარ ჭილაძე და რეზო ჭეიშვილი. ამბავი კი მოკლე, მარტივი და ტევადია.**

მე და რეზო მისი მანქანით სადღაც მივდიოდით. „გოდორი" ახალი წაკითხული მქონდა, ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე: „კაი ხანია დიდი არაფერი მითარგმნია, მაგრამ ამ წიგნს აუცილებლად ვთარგმნი-მეთქი". მისმენდა თუ არა, ვერც კი გავიგე; თითქმის უინტონაციოდ, ცოტათი ჩახრინწული ხმით ჩაიბუზღუნა: „მე მისი არც ერთი სიტყვის არ მჯერა".

გამიკვირდა. არაფერი მითქვამს, მაგრამ შევფიქრიანდი. მერეც ვიფიქრე, ამ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელ შეფასებაზე. ბრიყვი იტყოდა – შურმა ათქმევინაო. ბრიყვი არ გახლდით და კარგად მესმოდა, რომ რეზოს სხვისი შესაშური არაფერი სჭირდა. აქ სულ სხვა კანონზომიერებები მუშაობდნენ – ადამიანური ბუნების და მწერლის ესთეტიკისა.

ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივედი: ოთარ ჭილაძე ოპიზარების ბადალი ოქრომჭედელი იყო თავის საქმეში. პაუსტოვსკის „ოქროს ვარდს" თუ გავიხსენებთ, ოსტატი მთელი ცხოვრება ოქროს ვარდს ჭედდა და გამოჭედა კიდეც. მაგრამ სუნი არ უდიოდა.

რეზო ჭეიშვილს კი იმერეთის მინდორში ნანახი საპოვნელა ერჩია.

სტილისტიკურადაც განსხვავდებოდნენ. ჭილაძის რთული ფრაზა დახუნძლულია ეპითეტებით და მეტაფორებით, ასოციაციური გადაძახილები ზუსტი და ამაღელვებელია; მათში ლაიტმოტივები ამოტივტივდება ხოლმე. (ამან ხომ არ მიამსგავსებინა „აველუმი" ბეთჰოვენის სიმფონიას?)

ჭეიშვილის ფრაზა კი მარტივია და სადა, მაგრამ საოცრად ზუსტი, ტევადი და ინტონაციურად ცოცხალი. თარგმნისას ჭილაძისეული სირთულე უფრო დასაძლევი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ოთარის პერიოდები ასე თუ ისე ევროპულ მატრიცაზეა აწყობილი, რომელიც დიდმა რუსულმა პროზამ კარგა ხანია აითვისა.

ჭეიშვილის პროზა კი შუმი ქართული გამოდგა ნამდვილი „წინანდალივით".

როგორც თვით ოთარმა აღიარა, „გოდორის" თარგმანი კონგენიალურია დედანთან. ჭეიშვილის მოთხრობებში კი აქა-იქ ვერ გავუტოლდი ავტორს.

ჩემდა სასიხარულოდ და საამაყოდ საქართველომ ოთარ ჭილაძე მთაწმინდის მიწას მიაბარა, ვაჟას გვერდით, მოშორებით გრიბოედოვისაგან, რომლის ჩაცკიმ „გოდორის" ავტორს ხმა შეუერთა განთქმული კომედიის მონოლოგებითა და მწარე რეპლიკებით.

რეზო ჭეიშვილი კი ამ თემაშიც სულ სხვაგვარად მოგვევლინა: მან „მიწის განაწილებაში" „პანთეონობა" „თავისებურად გააქილიკა" და საყვარელ აიაში განისვენა, მწვანეყვავილაზე.



რეზო გაბრიაძემ იცოდა მშობლიური ერის ბუნება და ხასიათი, უყვარდა იგი და ურმითა და ჭაჭის გამოსახდელი ქვაბით აფრინა ცაში, თან ლამაზი სიმღერა გააყოლა...

**P.S.**

**60 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს მოთხოვნილება გამიჩნდა, მკითხველისთვის გახსენებული ქართულით მიმემართა. გთხოვთ, ენობრივი უმწეობა მაპატიოთ. თან იმასაც ვიმედოვნებ, რომ ჩემი არათანადროული აზრები ვინმეს შეაფიქრიანებს: ყველა მოვლენა უფრო რთული და მრავალმხრივია, ვიდრე დანახვისას გვეჩვენება.**

**მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ წერილში მოყოლილი მცირე შემთხვევა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კუთვნილებად იქცა.**

იბეჭდება ავტორისა და „ლიტერატურული საქართველოს" თავაზიანი ნებართვით.



მიშა ჭღენტი:

# აშშ მალე წავა რეგიონიდან...

## საქართველო ევრაზიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცისკენ?

**პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მღელვარების საგანი აღმოჩნდა პოლიტიკური წრეებისთვის საქართველოში და ამ ამბავს ორაზროვანი გამოხმაურებები მოჰყვა, თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი არ შეიძლება მიკერძოებით განიხილებოდეს; აზრთა სხვადასხვაობა ჭეშმარიტების და უკეთესი გზების მოძიებასა და პოვნაში ოპტიმალური გამოსავალია. ამიტომაც მივმართეთ ორგანიზაცია „სოლიდარობა მშვიდობისათვის“ წევრს, ბატონ მიხეილ ჭღენტს, რომელიც საგულისყურო მოსაზრებებს გვთავაზობს.**

**– ბატონო მიშა, უდიდესი ტრაგედია მოხდა შოვში, მთელი საქართველო დამწუხრებულია, მაგრამ სტიქიას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს...**

– მართლაც დიდი ტრაგედია დატრიალდა. ვუსამძიმრებ მთელ საქართველოს, დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახებს.

რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ, მაშველებმა, ჩვენმა ხალხმა.

**– ამ საშინელებიდან ცოტა ხნით ადრე პრემიერ-მინისტრი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა, რა პერსპექტივებს ხედავთ ამ ვიზიტისგან ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით და რომელი გესახებათ უფრო პრიორიტეტულად, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობა?**

– პირველ რიგში, ნება მომეცით, გამოვხატო ჩემი პატივისცემა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისა და პირადად თქვენ მიმართ და წარმატებები გისურვოთ.

უკვე ათ დღეზე მეტი გავიდა პრემიერ-მინისტრის ვიზიტიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ვნებათაღელვა არ ცხრება, მაგრამ, მოდით, სანამ აღნიშნულ ვიზიტს განვიხილავთ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ის, რაც საქართველოსთვის არის კარგი და სასიცოცხლოდ აუცილებელი, მათთვის, ე.წ. ოპოზიციისთვის, ყველაფერი მიუღებელია. ბოლო 12 წელიწადია მე ამ კუთხით ვაფასებ საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში ძირეული გეოპოლიტიკური გადანაწილებები ხდება, ქართველი ლიბერალები ლოკალურ, პირად ინტერესებს ვერ სცდებიან და იმ საშიშროების თავიდან აცილებისთვის წიოკობენ, რაც პერსპექტივაში მათ თამაშგარეთ დარჩენას გულისხმობს.

1992 წლის მარტიდან სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სამსახურებრივი პოზიციებით ჩართული ვარ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მინდა გითხრათ, რომ ბოლო 25 წელიწადია მსგავსი საქმიანი და სასარგებლო შეხვედრები, რომლებიც ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს აქვს, ვერ ვიხსენებ. ეს ვიზიტი წინაპირობაა იმისა, რომ არა უგვიანეს 2025 წლისა, საქართველო დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიოს ახალ წესრიგში, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

რაც შეეხება ჩინეთს, თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ,,ჩინური სასწაული“ მხოლოდ ჩინელი ხალხის დაუღალავი შრომის შედეგია. მე ვფიქრობ, უკვე იოსებ ბესარიონის ძის მიერ იყო ჩაყრილი ის საფუძველი, რის შედეგებსაც დღეს ვხედავთ. ჩინეთი განსაზღვრული იყო, როგორც მსოფლიო ეკონომიკური ცენტრი, რაც აშშ-სა და მის ერთპიროვნულ მმართველობას საბოლოოდ დაასრულებდა.

გაიხსენეთ უახლოესი პერიოდი: 1995-99 წლებში ჩინეთის პარალელურად ხდებოდა თითქმის დაშლილ-დანაწევრებული და დასუსტებული რუსეთის ფეხზე წამოყენების უმძიმესი პროცესი. 2003 წელს ერთი ბარელი საწვავის ფასი 28-30 დოლარს შორის მერყეობდა, ხოლო 2008 წელს ფასმა 143 დოლარს მიაღწია. ნუ დაგავიწყდება, რომ დოლარის მსყიდველობითუნარიანობა მაშინ დღევანდელისგან საკმაოდ განსხვავდებოდა.

ახლა უკვე ყველასთვის ცხადია, რომ აშშ-ის ჰეგემონია მსოფლიოში თითქმის სრულდება...

პრემიერის ბოლოდროინდელ ვიზიტს წინ უძღოდა არაერთი შეხვედრა საუდის არაბეთში, აზერბაიჯანში, უნგრეთში და ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, იმოქმედოს საქართველოს ინტრესებიდან გამომდინარე; სწორედ ეს აგიჟებს ლიბერალურ ოპოზიციას. მათთვის მხოლოდ ხელისუფლებაში დაბრუნებაა მთავარი. დამერწმუნეთ, როგორც საააკაშვილი ეპატიჟებოდა რუს ტურისტებს აგვისტოს ომის ტრაგედიიდან 3 თვის თავზე, ხელისუფლებაში რომ იყვნენ, ახლაც ანალოგიურად მოიქცეოდნენ.



რამდენიმე დღის წინ რომან გოცირიძემ „მთავარ არხზე“ ისეთი რამ თქვა, რომ გადაცემის წამყვანი კინაღამ სკამიდან „გადავარდა“. მან ბრძანა: ეს კარგი ხელშეკრულება და სასარგებლო თანამშრომლობაა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ცუდია რომ ამას „ოცნება“ აკეთებსო!..

ამით ყველაფერია ნათქვამი.

უკრაინის ტრაგედიამ, რაც ორ სლავ ერს შორის ხდება, ყველაფერი გამოააშკარავა, მათთვისაც კი, ვინც ფიქრობდა, რომ ევრო-ნატოს ჩვენი დარდი ჰქონდა. მათ საკუთარი თავი ადარდებთ, სხვა არავინ და არაფერი. ამიტომაც, ლიბერალური ოპოზიცია, გარდა რევოლუციური სცენარისა, ხელისუფლებაში დაბრუნების სხვა გზას ვერ ხედავს და ეს საშიშროება 2024 წლის ბოლომდე იარსებებს. ისინი და მათი პატრონები ცაიტნოტში არიან. ეს ე.წ. ოპოზიცია კვლავაც შეეცდება, ააყირავოს საქართველოს ხელისუფლება, მერე კი ჩინეთშიც ჩავლენ და ტუ-154-საც ფეხით ჩაასწრებენ მოსკოვში.

**– დიდი იმედი მაქვს, რომ ამას ვერ მოესწრებიან და ნუ გავყვებით მათ მავნებლურ ფანტაზიებს, მომავალზე ვიფიქროთ: თქვენი აზრით, ჩანს თუ არა იმის კონტურები, რომ საქართველომ კვლავ დაიბრუნოს ლიდერის როლი და ანგარიშგასაწევი „მოთამაშე“ გახდეს რეგიონალურ პოლიტიკაში?**

– გმადლობთ ამ შეკითხვისთვის.

როგორც გითხარით, საქართველოს ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა დეკოლონიზაციისგან თავის დასახსნელად. დიახ, ჩვენ ვართ კოლონია 21-ე საუკუნეში, რომელსაც მეტროპოლია არავითარ შანსს არ აძლევს განვითარების და საკუთარი ინტერესების თუნდაც მცირედით განსახორციელებლად, მაგრამ, საინტერესოა, რა ფუნქცია მოგვანიჭა აშშ-მა რეგიონში?! წარმოიდგინეთ და, ზუსტად ის, რაც უკრაინას. ჩვენ უნდა ვყოფილიყავით რუსეთის დესტაბილიზაციის და მუდმივი თავის ტკივილის ფუნქციის შემსრულებლები!!!

1992-95 წწ. პარლამენტში მუშაობისას ნათლად ვხედავდი საით მიდიოდა ქვეყანა და მერე, უკვე 2000-2004 წლებში მოხდა ის, რომ ჩვენ საბოლოოდ გავხდით პროექტი, სახელად ,,ანტირუსეთი“, უკრაინასთან ერთად. თუმცა, როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელია, ჩვენმა ტერიტორიულმა სიმცირემ გვიხსნა: ჩვენ არ გამოვდგებოდით რუსეთის ასაფეთქებლად, უკრაინა კი თითქმის ზედგამოჭრილი იყო და შედეგიც სახეზეა.

რაც შეეხება რეგიონალურ ფუნქციას, საქართველო თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, იბრუნებს ფუნქციას, რომელიც საშუალებას მოგვცემს არა მარტო სამრეწველო, არამედ გეოპოლიტიკის კუთხით ანგარიშგასაწევი ქვეყანა გავხდეთ.

რა თქმა უნდა, არც ერთი ქვეყანა, თუნდაც ისეთი მძლავრი, როგორიც ჩინეთია, მხოლოდ ჩვენი ინტერესებით არ იმოქმედებს. პოლიტიკაში კი, არსებობს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომელსაც ჩვენ ბოლო 33 წელია მოკლებულნი ვართ.

დიდი იმედი მაქვს, რომ აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხიც დადგება. ჩვენ, უპირველესად, უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და დიდი მადლობა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ეყო გამბედაობა – თამამად გადადგა ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯები, ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება მის გვერდით ვიქნებით ყოველ პროგრესულ გადაწყვეტილებაში. წარმატებები ჩვენს პრემიერს!

**– უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური გაერთიანებები როგორ უნდა აკონტროლოს სახელმწიფომ, თუ ამერიკაში 1938 წელს მიღებული ე.წ. „ფარას“ კანონი ვერ მივიღეთ და ვერ ავამოქმედეთ?**

– იცით, რატომ არ გვაძლევენ „ფარას“ კანონის ანალოგის მიღების უფლებას? იმიტომ რომ, კოლონია ვართ. მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ ეს კანონი არის უკვე მიღებული, მაშინ როგორ დაფინანსდებოდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც ხან რუსთაველზე, ხან ბათუმის ბულვარში და სხვაგან და სხვაგან აწყობენ დესტაბილიზაციას და ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებენ, ტრაგედიებსაც კი პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის იყენებენ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ მარტის მოვლენებიც კმარა იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ, რა უნდათ ჩვენი ქვეყნისგან. ეს კანონი რომ მიგვეღო, ამით ნათელი გახდებოდა, სად წავიდა აშშ-ის ელჩის მიერ დაყვედრებული 6 მილიარდი დოლარი. ეს ციფრი გავყოთ, გავამრავლოთ და მივიღებთ იმას, რისი გამოააშკარავებისაც ასე ეშინიათ.

**– პატარა ნაბიჯები უკვე გადაიდგა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების ნორმალიზებისკენ, იმედია, უფრო მეტს მივაღწევთ და უფრო დიდ ტრაგედიებს თავიდან ავიცილებთ.**

– ჩვენი ორგანიზაციის, რუსეთის დუმის და დსთ კომიტეტის ერთობლივი შეთანხმებით მიღწეული იქნა ფრენების აღდგენა და სავიზო რეჟიმის მოხსნა- შემსუბუქება. მოგეხსენებათ, რამხელა წივილ-კივილი მოჰყვა ამ ამბავს, როგორც ლიბერალური პარტიებისგან, ასევე დასავლელი ელჩებისგან. რას გვედავებოდნენ: რატომ გაუადვილეთ საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრებაო. მსგავსი აბსურდი გაგიგონიათ? მათ არც საქართველო და არც ქართველები არ აინტერესებთ, თუნდაც წყალს წაუღია ორივე, ისე, როგორ საბრალო უკრაინას ატანენ მეწყერს. თუ ვინმეს ჰგონია, აშშ საკუთარი ინტერესების საზიანოდ ვინმესთვის თითს გაანძრევს, ძალიან შემცდარა.

დარწმუნებული ვარ, დიდი დრო აღარ არის დარჩენილი, რაც აშშ წავა საქართველოდან, წავა რეგიონიდან, მაგრამ როგორ წავა და რა უბედურებას დატოვებს აქ, არავინ იცის. ყველა ქვეყანა, რომელიც დატოვა აშშ-მა ცეცხლის ალში გახვეული დატოვა. ახლა მთავარია, ისე ვიმოქმედოთ, რომ მშვიდობიანად გავუშვათ...

**გავახილოთ თვალი: მოდის ახალი რეალობა, რომელსაც ევრაზიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე ჰქვია.**

ესაუბრა

**ირანდა კალანდაძე**

# რუსეთზე სანქციების კიდევ უფრო გაღრმავებას საქართველოს ეკონომიკა არ გადაჰყვება!

**საქართველოდან რუსეთსა და ბელარუსში ამერიკული ავტომანქანების ექსპორტი/რეექსპორტი აიკრძალა. საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოყვანილ მანქანებზე რეექსპორტზე/ექსპორტზე შეზღუდვა 1 აგვისტოდან ამოქმედდა, ხოლო ევროპიდან შემოყვანილი მანქანების გაყვანა ამავე ქვეყნებში 26 სექტემბრიდან აიკრძალება. ამას ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტი ითვალისწინებს.**

ეკონომისტი ზვიად ხორგუაშვილი ამბობს, რომ მანქანების ექსპორტსა და რეექსპორტზე დაწესებული შეზღუდვის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი არ იქნება. მისი განმარტებით, სანქციები კიდევ დაემატება და ევროკავშირი ყველანაირ ეკონომიკურ ურთიერთობას გაწყვეტს რუსეთთან.

**„რუსეთთან ყველანაირი ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტისკენ მიდის გზა, ძალიან მალე გერმანია და პოლონეთი რუსულ მილსადენ „დრუჟბაზე“ მთლიანად იტყვიან უარს, ასევე, რუსეთში რეგისტრირებული ნებისმიერი ტრანზიტული მანქანა ევროკავშირის ტერიტორიაზე ვეღარ მოხვდება, ასევე არის სხვა მრავალი წვრილი და მსხვილი ცვლილებები. ევროკავშირი ორიენტირებულია, რომ არა მხოლოდ რუსეთზე, არამედ იმ ქვეყნებზეც გააკეთოს სწორება, რომელიც რუსეთს სანქციების თავიდან არიდებაში ეხმარება“,** – დასძინა მან. მისი თქმით, ეს სანქციები გრძელვადიანი თვალსაზრისით უკეთესი იქნება საქართველოსთვის.

**„დივერსიფიკაციის თვალსაზრისით ეს სანქციები დიდი პრობლემაა, მაგრამ აღმოფხვრადია. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ეკონომიკაში რუსეთის წილი დიდი იყო, დაახლოებით 25%, 2021 წელს ეს რიცხვი 15%-ს არ აღემატებოდა. გარდა ამისა, 2006 წელს რუსეთის წილი 15%-ზე მეტი იყო, თუმცა ემბარგოს შემდეგ საქართველოს 10%-მდე ეკონომიკური ზრდა ჰქონდა იმავე წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთზე სანქციების კიდევ უფრო გაღრმავებას საქართველოს ეკონომიკა არ გადაჰყვება.**

**ხელისუფლების მხრიდან საჭიროა მეტი ეკონომიკური თავისუფლება, უნდა შემოვიტანოთ და გავიტანოთ მეტი პროდუქტი ევროკავშირიდან, ვიდრე რუსეთიდან, უნდა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ნავთობპროდუქტებზე და გაზზე დამოკიდებულება საქართველოს მხრიდან ძალიან დიდია, თუმცა თუ გერმანია მზად არის უარის სათქმელად, საქართველომაც ცალსახად უარი უნდა თქვას, რა თქმა უნდა, ეს იქნება ხარჯიანი ნაბიჯი, თუმცა, გრძელვადიანი თვალსაზრისით ასეთი ცვლილებები საქართველოსთვის უკეთესი იქნება“,** – ამბობს ზვიად ხორგუაშვილი.

საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის 6 თვეში საქართველოდან რეექსპორტზე სულ გავიდა 51 011 მსუბუქი ავტომობილი, შემოსავალმა კი 990,864 მლნ დოლარი შეადგინა. აქედან, რუსეთში გავიდა 3 786 ერთეული, 52,513 მლნ დოლარის ღირებულების, ბელარუსში კი – 129 ერთეული, 2,452 მლნ დოლარის ღირებულების. საშუალოდ, ერთი ავტომობილის ღირებულება რუსეთში ექსპორტის შემთხვევაში შეადგენს 13 900 დოლარს, ბელარუსში კი – 19 000 დოლარს.

## ამერიკა უკრაინას 66 მილიარდი დოლარით დაეხმარა!

**უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანას 66 მილიარდი დოლარით დაეხმარა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „ვაშინგტონ პოსტი“ ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, დიდი ნაწილი – 44 მილიარდი დოლარი სამხედრო სახის დახმარებაა, დანარჩენი კი – ფინანსური და ჰუმანიტარული.**

გამოცემა წერს, რომ 2023 წლის ამერიკის საერთო სამხედრო ბიუჯეტის ფონზე, რომელიც 1,77 ტრილიონს შეადგენს, ეს დახმარება უმნიშვნელოდ გამოიყურება, თუმცა ის მაინც ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიერ უკრაინისთვის გაწეულ დახმარებას აღემატება.

## უკრაინა ომის დროსაც აგრძელებს რუსეთისთვის ტიტანის მიყიდვას



**ტიტანის ინდუსტრიაში მომუშავე ინსაიდერები აცხადებენ, რომ ომის დროს გრძელდება ტიტანის კონცენტრატების ექსპორტი.** კერძოდ, 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის აპრილამდე გაერთიანებულმა სამთო და ქიმიურმა კომპანიამ, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, ექსპორტზე გაიტანა 82.2 ათასი ტონა ტიტანის შემცველი საბადო.

**„ტიტანის ინდუსტრიაში არსებული წყაროების მიხედვით, ამ პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში მოხვდა“,** – ნათქვამია მასალაში.

კერძოდ, ტიტანის კონცენტრატის პარტიები მიჰყიდეს შუამავალ კომპანიებს პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხეთიდან და სლოვაკეთიდან, რომელთა დამფუძნებლები არიან რუსეთის მოქალაქეები და მუშაობენ რუსეთის ფედერაციასთან.

გასული წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში გაერთიანებულმა სამთო და ქიმიურმა კომპანიამ ათასობით ტონა კონცენტრატი მიაწოდა უნგრულ კომპანია **Sic Luceat Lux KFT**-ს, რომელიც დააარსეს ყირიმის მკვიდრებმა, ალექსანდრე და სვეტლანა მურადიანებმა.

ღია წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ კომპანიის ძირითადი კონტრაგენტები და მიმღებები 2021-2022 წლებში იყვნენ კომპანიები **რედმეტკონცენტრატი** (მოსკოვი), **ნერუდნაია კომპანია**, **მინკო რუსი** (ბელგოროდი) და სხვა რუსული კომპანიები.

**„აქედან გამომდინარე, მითითებული კომპანია აშკარა რუსული შუამავალია და ამის შესახებ ხუკრაინისჯ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ არ შეიძლება არ იცოდეს“,** – წერს RBC-Ukraine.

**RBC-Ukraine** წერს, რომ ტიტანის პროდუქტების საბოლოო მომხმარებლები, სავარაუდოდ, სამხედრო ქარხნები არიან.

## ჩინეთი დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ პოზიციას ინარჩუნებს



**ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვანგ იმ რუს კოლეგასთან, სერგეი ლავროვთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ ჩინეთი შეინარჩუნებს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ პოზიციას უკრაინასთან დაკავშირებით, რადგან ქვეყანა ცდილობს საკითხის პოლიტიკურად მოგვარების გზების პოვნას. აღნიშნულის შესახებ საუბარია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, სადაც წერია, რომ ჩინეთი იქნება „ობიექტური და რაციონალური ხმა“ ნებისმიერ საერთაშორისო მრავალმხრივ ფორუმზე და აქტიურად შეუწყობს ხელს სამშვიდობო მოლაპარაკებებს.**

მანამდე ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საუდის არაბეთში გამართული საერთაშორისო მოლაპარაკებები უკრაინის კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ დაეხმარა „საერთაშორისო კონსენსუსის კონსოლიდაციას“. საუდის არაბეთში გამართულ მოლაპარაკებებში 40-ზე მეტი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, მათ შორის, ჩინეთი, ინდოეთი და აშშ. პეკინმა უარი თქვა მოსკოვის დაგმობაზე უკრაინაში შეჭრის გამო, თუმცა მონაწილეებს საკუთარი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა.

## აფეთქება მარცვლეულის საცავში




**თურქეთის დერინჯეს პორტში, მარცვლეულის საცავში აფეთქება მოხდა. თურქული მედიის ცნობით, აფეთქების შედეგად დაშავებულია 12 ადამიანი, სამი მათგანის მდგომარეობა მძიმეა.**

აფეთქება ადგილობრივი დროით, დაახლოებით, 14:40 საათზე მოხდა. თურქეთის მარცვლეულთა საბჭოს განცხადებით, აფეთქება, სავარაუდოდ, გადმოტვირთვის დროს ხორბლის მტვრის შეკუმშვამ გამოიწვია. როგორც საბჭომ აღნიშნა, დაზუსტებული მიზეზი დეტალური ტექნიკური გამოკვლევის შემდეგ გამოცხადდება. არსებული ცნობებით, აფეთქების შედეგად 13 ელევატორი დაზიანდა.




## თავად აირჩევთ, რა რისკიანობის პორტფელში ინვესტირდება თქვენი საპენსიო დანაზოგი

**6 აგვისტოდან საპენსიო აქტივების ინვესტირება 3 განსხვავებული რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო პორტფელში იქნება შესაძლებელი.**

გარდა ნაკლებადრისკიანი პორტფელისა, შემოდის საშუალო და მაღალრისკიანი პორტფელების ცნება. მოქალაქეებს თავად შეეძლებათ აირჩიონ, რომელ პორტფელში სურთ საკუთარი საპენსიო დანაზოგების ინვესტირება, ხოლო არჩევანის გაკეთებისთვის საჭირო ინფორმაციას მოქალაქეებს საპენსიო სააგენტო მიაწვდის.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი 2018 წლის 6 აგვისტოს ამოქმედდა და მისი მიღებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში მოქალაქეთა საპენსიო დანაზოგების ინვესტირება მხოლოდ ნაკლებადრისკიან საინვესტიციო პორტფელში ხორციელდებოდა.

6 აგვისტოდან საპენსიო სქემის მონაწილეებს ეძლევათ 1-თვიანი ვადა (6 სექტემბრის ჩათვლით), რა დროსაც მათ თავად შეეძლებათ აირჩიონ რომელ პორტფელში მოხდება მათი საპენსიო დანაზოგების ინვესტირება, ხოლო ის მოქალაქეები, რომლებიც თავად არ აირჩევენ სასურველ პორტფელს, ავტომატურად გადანაწილდებიან სხვადასხვა პორტფელში, ასაკის შესაბამისად. კერძოდ, გაწევრების მომენტისთვის.

**40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივები გადანაწილდება მზარდ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში;**

**40 წლიდან 50 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივები – შერეულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში;**

**ხოლო 50 ან 50-ზე მეტი წლის მონაწილის საპენსიო აქტივები – სტაბილურ (ნაკლებად რისკიან) საინვესტიციო პორტფელში.**

საინვესტიციო პორტფელის არჩევა მონაწილეს მისი პირადი ელექტრონული გვერდიდან შეუძლია (my.pensions.ge), ასევე შესაძლებელია მონაწილემ ეს არჩევანი იუსტიციის სახლებიდან ან საპენსიო სააგენტოს ოფისიდან განახორციელოს. აქვე აღსანიშნავია, რომ მონაწილეს საინვესტიციო პორტფელზე არჩევანის გაკეთება 12 თვეში ერთხელ შეეძლება.


## საქართველო

### ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი

**სესხი:** 3520-GEO

**დავალების სახელწოდება: გარემოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი კომპანია** BBRP/CS/CQS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისაგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

აზიის განვითარების ბანკი წარმოადგენს პროექტის წამყვან დამფინანსებელ პარტნიორს და ახორციელებს მის ადმინისტრირებას არსებული თანა-დამფინანსებლის სახელითაც.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ადგილობრივ კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გარემოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი კომპანია**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის (Consultant’s Qualification Selection (CQS)) გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე: https://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=190799** მეშვეობით, არაუგვიანეს 2023 წლის 6 სექტემბრისა.

## GEORGIA

### BATUMI BYPASS ROAD PROJECT

**Loan No.:** 3520-GEO

Name of the Assignment: External Environmental Monitoring Firm

**Contract No:** BBRP/CS/CQS-01

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) and Asian Infrastructure Investment Bank (AIIB) toward the cost of the **Batumi Bypass Road Project (BBRP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

ADB is the lead financing partner for the project and administers it on behalf of the other co-financier.

The Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible National Companies to express their interest for the following Consultancy Service: **External Environmental Monitoring Firm**

Duration of the assignment: 12 months.

Selection will be done according to the Consultant’s Qualification Selection Method (CQS) provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at https://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)

The proposals will be submitted by means of the ADB web page: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=190799** not later than **September 6, 2023.**

◉ დილაა თუ ბინდია?!.

# ნამუსი მოგვწმინდა

**ქართული საკლუბო ფეხბურთის ტრადიციული ჩავარდნის ფონზე ღირსება უკრაინელი ანდრეი დემჩენკოს გაწვრთნილმა გორის დილამ შეგვინარჩუნა და კონფერენს-ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა, საიდანაც ჩვენთვის ასე ნანატრ ჯგუფურ რაუნდამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.**

შიდაქართლელთა წარმატებას წონას ის ფაქტი მატებს, რომ მათ ორივე ყოფილ მეტოქეს ბრძოლა წაგებული პირველი შეხვედრების შემდეგ შემოუტრიალეს, სრულფასოვანი რევანშის აღების უნარით კი, მოგეხსენებათ, ვერ დავიკვეხნით.

მიღწევის რეცეპტი, ერთი შეხედვით, მარტივია – გუნდის თავკაცის პროფესიონალიზმი და აიაქსის შემტევი სტილისადმი ერთგულება, რაც შეხამებულია პრესინგთან, სტაბილური ძირითადი ბირთვი და კვალიფიციური ლეგიონერები. აღსანიშნავია აგრეთვე გორელი გულშემატკივრის ფაქტორი, რომელთა დიდი დამსახურებაცაა როგორც სლოვაკურ დუნაისკა სტრედასთან, ისე პოლტავის ვორსკლასთან მოპოვებული გამარჯვებები (ამ უკანასკნელთან – 1:2-ის შემდეგ საკუთარ მინდორზე 3:1). უკრაინელებს გოლები ფარულავამ, პირველი მატჩის მსგავსად – თანამემამულე კოვტალიუკმა და ბარბადოსელმა ლიდერმა გეილმა გაუტანეს.

რაც შეეხება მეტოქეს, ხვალ დილა კვიპროსის აპოელს უმასპინძლებს, სადაც ქვილითაია და დვალი თამაშობენ, ხოლო ახლო წარსულში მის ღირსებას ოქრიაშვილი და დაუშვილი იცავდნენ, ბიჭებს კი ქეცბაია ავარჯიშებდა.

თითქმის საუკუნოვანი ბიოგრაფიის (დაარსდა 1926 წლის 8 ნოემბერს) კლუბი ქვეყანაში ყველაზე ტიტულოვანია – 28 ჩემპიონობა, 21 თასი და 14 სუპერთასი, ლეგიონერებით გაძეძგილ კუნძულელებს კი ფიგუს თაობის პორტუგალიელი ვარსკვლავი რიკარდუა პინტუ წვრთნის.



## — ორიოდე სიტყვით —

### უნივერსიადა

**ჩენგდუ (ჩინეთი).** მსოფლიოს 31-ე საზაფხულო საუნივერსიტეტო თამაშები. **წყალში ხტომა.** 3-მეტრიანი ტრამპლინი. სინქრონული ხტომები. **ბრინჯაო.** სანდრო მელიქიძე – თორნიკე ონიკაშვილი. **წყალბურთი.** ნახევარფინალი. საქართველო – იტალია 10:11.

ჯვაროსნები ბრინჯაოს მედლებისთვის აშშ-ის გუნდს შეხვდებიან, რომელთანაც ჯგუფურ რაუნდში, ისევე როგორც აპენინელებთან, დამარცხდნენ შესაბამისად 6:7 და 9:13, ხოლო მოუგეს მასპინძლებს 13:7, კორეას 19:7, სლოვაკეთს 14:3 და, როგორც უკვე გაუწყეთ – გერმანიას მეოთხედფინალში 16:15 (პენალტების სერიაში, ძირითადი დრო – 12:12). გუშინ. საქართველო – აშშ 12:7. არის მეორე **ბრინჯაო**!

### თავისუფალი ჭიდაობა

**სტამბოლი (თურქეთი).** 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. **ოქრო.** სანდრო ყურაშვილი (92 კგ). შეგახსენებთ, რომ იგი წლეულს თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონიც გახდა. **ბრინჯაო.** კონსტანტინე პეტრიაშვილი (80 კგ).

### ძიუდო

**ბუდაპეშტი (უნგრეთი).** მასტერსი. **ოქრო.** ლაშა ბექაური (90 კგ). **ვერცხლი.** ლუკა მაისურაძე (90 კგ). **ბრინჯაო.** ილია სულამანიძე (100 კგ), გელა ზაალიშვილი (+100 კგ). შეგახსენებთ, რომ მანამდე მესამე ადგილები ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) და ტატო გრიგალაშვილმა (81 კგ) მოიპოვეს,




საერთო გუნდურ ჩათვლაში კი საქართველოს ნაკრები 6 მედლით (1, 1, 4) მესამე პრიზიორი გახდა იაპონელთა და ფრანგთა შემდეგ.

### კალათბურთი

**ევრო – 2025-ის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა.**

**„ზ“ ჯგუფი.** საქართველო, სერბეთი, ფინეთი, დანია. ვინაიდან ფინეთი მომავალი ფორუმის ერთ-ერთი მასპინძელია, შესარჩევ ციკლში ფორმალურად ითამაშებს, ამიტომ შემდეგ ეტაპზე დანარჩენი ტრიოდან 2 საუკეთესო გუნდი გავა.

# „ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ფეხბურთის ისტორიაში კვალი დავტოვო“

**„ნაპოლის“ ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ Gazzetta Dello Sport-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც მთლიანად საკლუბო თემებზე ისაუბრა. როგორც მან თქვა, ლუჩანო სპალეტის დიდი წვლილი მიუძღვის მის მიერ ნაჩვენებ თამაშში. ასევე აღნიშნა, რომ ახალ სეზონში მიზანი ისევ ჩემპიონობაა.**

◉ სეზონის წინ




**– ხვიჩა, მოიგეთ სკუდეტო, გახდით სერია A-ს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და გოლის ავტორი. ელოდით ასეთ დამანგრეველ გავლენას?**

– ვფიქრობ, ეს წარმოუდგენელი სეზონი იყო მთელი გუნდისთვის, არა მხოლოდ ჩემთვის, არავინ ელოდა სკუდეტოს მოგებას, მაგრამ ჩვენმა მზადყოფნამ და სურვილმა, რომ ყოველთვის მაქსიმუმი გაგვეღო, განსხვავება შექმნა. ასე რომ, ასეთი საოცარი შედეგის წინაშე არ არსებობს პირადი დამსახურებები.

**– როდის მიხვდით, რომ სკუდეტო თქვენს ხელში იყო?**

– „იუვესთან“ მატჩის შემდეგ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ძალიან ახლოს ვიყავით ჩემპიონობასთან და მას შემდეგ ყველა მატჩი იყო ზეიმი. წარმოუდგენელი დღეები გახლდათ, უსაზღვრო ემოციები განვიცადეთ.

**– სწორედ ტურინიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო ზეიმი ნეაპოლში...**

– ტურინში მოგების შემდეგ ჩვენმა მენეჯერმა გაგვაფრთხილა, რა სიტუაცია დაგვხვდებოდა ნეაპოლში, მაგრამ ასეთს ვერ წარმოვიდგენდით, შოკისმომგვრელი იყო. აეროპორტიდან გასვლას 1 საათი დასჭირდა. იქ მივხვდით, რომ სკუდეტოდან ერთ ნაბიჯში ვიყავით და ის საღამო არავის დაავიწყდება. მე ჯერ კიდევ მაქვს ქაღალდის ცნობილი ქუდი.

**– სხვათა შორის, მოახერხეთ ქალაქის დათვალიერება?**

– სამწუხაროდ, ქალაქში დიდად ვერ გავდივარ, ხალხის ამ უსაზღვრო სიყვარულის მართვა გამიჭირდება. ნეაპოლში ჩასვლისთანავე ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ ხალხი მაშინვე მცნობდა. ოჯახთან ერთად პომპეის მონახულება მაინც შევძელი. ნეაპოლში ორი რამ მიყვარს – პეიზაჟები და მზის ჩასვლა. ასევე, მესამეც: სპაგეტი.

**– ფეხბურთზე გადავიდეთ: შეგიძლიათ თქმა, რომ სპალეტი თქვენი საფეხბურთო მამაა?**

– დიახ, სპალეტი გახდა ჩემი საფეხბურთო მამა და ვერასოდეს შევძლებ მისთვის საკმარისად მადლობის გადახდას. ის ჩემს კარიერაში გარდამტეხი იყო, მან მომცა საშუალება უმაღლეს დონეზე მეთამაშა და ყოველთვის მეხმარებოდა, თუნდაც ყველაზე რთულ მომენტებში. როდესაც საუკეთესოდ ვერ ვთამაშობდი, ის ყოველთვის ჩემს გვერდით იყო, მამხნევებდა, მიცავდა, რჩევებს მაძლევდა, როგორ მოვქცეულიყავი. თუ გავხდი ისეთი ფეხბურთელი, როგორიც დღეს ვარ, ეს მისი დამსახურებაა.

**– მადლობას ალბათ, დე ლაურენტისიც იმსახურებს..**

– რასაკვირველია, ის მადლობას იმსახურებს. ჩემი ძალიან სჯეროდა, მან დაიჯერა უცნობი ბიჭის და მასში დიდი ინვესტიცია ჩადო, გარისკა კიდეც.

**– და, ახლა გარსიას, როგორ შეუძლია თქვენი დახმარება?**

– მას შეუძლია ჩემი დონის გაუმჯობესება. ყოველდღიურად რაღაც ახალს ვსწავლობთ ვარჯიშზე. მომწონს, როგორც პიროვნება და როგორც მწვრთნელი, დარწმუნებული, რომ ისევ გამარჯვებაში დაგვეხმარება.

**– შეუძლია "ნაპოლის“ ჩემპიონობის შენარჩუნება?**

– რა თქმა უნდა, ყველა მატჩს მოსაგებად ვთამაშობთ, შემდეგ კი გამოჩნდება, შევძლებთ თუ არა, ზედიზედ მეორედ ჩემპიონობას. ყველას პატივს ვცემთ, ბევრი ძლიერი გუნდია, რომლებიც კარგად თამაშობენ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენთან თამაში არავის უხარია.

**– ოსიმენთან განსაკუთრებული კავშირი გაქვთ...**

– ვიცოდი, რომ ოსიმენი ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისმა თავმდაბლობამ გამაოცა. ერთმანეთს თავიდანვე კარგად გავუგეთ, ეს მოედანზეც ჩანს. რომც ვერ დავინახო, უკვე ვიცი სად არის, როგორი პასი გავუკეთო, თითქოს, ყოველთვის ვგრძნობ მის მოძრაობას და იგივენაირად არის ისიც ჩემდამი.

**– მოგწონთ კვარადონას მეტსახელი თუ უფრო წნეხია?**

– რა თქმა უნდა, ეს მეამაყება და ასევე დიდი პასუხისმგებლობაა ისეთ დიდ ფეხბურთელთან შედარება, როგორიც მარადონა იყო.

**– თქვენ ახალი თაობის კუმირი ხართ. ყველას 77-ნომრიანი მაისური აცვია, როგორც თავის დროზე მარადონას 10-ნომრიანი...**

– საოცარია იმაზე ფიქრი, რომ 33 წლის შემდეგ არის ახალი თაობა, რომლისთვისაც მე ვარ ამოსავალი წერტილი, მაგრამ ეს მხოლოდ ბავშვებს არ ეხებათ, უფროსებიც ძალიან დიდ სიყვარულს გამოხატავენ. ისინი გვაძლევენ მოტივაციას და ენერგიას, რაც შემდეგ მოედანზე გამარჯვებაში გვეხმარება. მათი თანადგომა არასდროს დაგვიკარგავს.

**– პირველი გოლი სტეფ კარის სტილში აღნიშნეთ. მოახერხებთ ფეხბურთში მის დონეზე ასვლას?**

– ვერასოდეს გავბედავ იმის თქმას, რომ სტეფ კარის დონეზე ავალ, როგორც ფეხბურთელი, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ფეხბურთის ისტორიაში კვალი დავტოვო.

**– „მილანთან“ მატჩში გქონდათ შეცდომები, რამ გამოიწვია?**

– რთული სათქმელია, მაგრამ შეცდომებზე სწავლობ და უმჯობესდები. იმ ეპიზოდიდან ბევრი რამ ვისწავლე, მივხვდი, სად შემიძლია და უნდა გავაუმჯობესო. ჩემპიონთა ლიგაზე მეტს ვიმსახურებდით, რასაც მომდევნო სეზონში ვეცდებით.

**– რაფაელ ლეაუსთან ურთიერთობა როგორია?**

– მომწონს მისი უბრალოება და თავმდაბლობა. მოედანზე ის ჩემპიონია, მაგრამ მოედანს მიღმაც არანაკლებია. გამიხარდა, როდესაც ჩემთან მოვიდა და დამამშვიდა, მას დიდ პატივს ვცემ. ჩვენ მაისურები გავცვალეთ და წარმატებები ვუსურვე, ნამდვილად იმსახურებს ამას.

*შეგახსენებთ, რომ იტალიის სერია A-ს ახალი სეზონი 19 აგვისტოს დაიწყება, „ნაპოლის“ პირველი მეტოქე კი „ფროზინონე“ იქნება, რომელსაც სტუმრად დაუპირისპირდება. ხვიჩა კვარაცხელია გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონი გახდა, დასახელდა სერია A-ს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად და ჩემპიონთა ლიგის სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად, ასევე მისი გოლი სერია A-ს სეზონის საუკეთესო გოლად აღიარეს. მან 2022–2023 წლების სეზონში ყველა ტურნირზე 43 ოფიციალურ მატჩში თავი 14 გოლით, 14 საგოლე პასით და 5 გამომუშავებული პენალტით გამოიჩინა.*

## სულთათანა



# გურამ ბოკუჩავას ნათელი ხსოვნა

გარდაიცვალა საინჟინრო ფიზიკისა და ტექნოლოგიების მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორი — სსიპ სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიური დოქტორი — გურამ ბოკუჩავა.

გურამ ბოკუჩავას ხანგრძლივი სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობა 1972 წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დაკავშირებული იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან, სადაც ეტაპობრივად განვლო ყველა საფეხური (გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელი). 1991 წელს ის დაინიშნა შპს „მიზანი"-ს დირექტორად, რომელიც ინსტიტუტში კურირებდა კოსმოსური რადიოელექტრონული ხელსაწყოთმშენებლობის და მართვის სისტემების მიმართულებას. ჩვენი ქვეყნის ავბედობის ჟამს მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ინსტიტუტში დაიწყო სამხედრო დანიშნულების რადიოელექტრონული, დისტანციური მართვის სისტემების წარმოება ქართული ჯარისათვის. 2002-2005 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 2005 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ინსტიტუტის დირექტორი.

გურამ ბოკუჩავას ხელმძღვანელობითა და აქტიური მოღვაწეობით ინსტიტუტში განხორციელდა ღრმა ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ტრადიციული სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სრულიად ახალი დარგების აღორძინებისა და შექმნის მიმართულებით. ჩამოყალიბდა ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი თავდაცვის პრობლემებზე ორიენტირებული რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილება (კვანტური რადიოფიზიკა, ლაზერული, ელექტრული და ელექტრონული სისტემები) ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია, ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია და სხვა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში პირველად მის მიერ შეიქმნა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვილი რადიაციული კვლევებისა და კომპოზიციური მასალების სინთეზის ფუნქციური უბნები.

აღსანიშნავია მისი დიდი ძალისხმევა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ახალი აქტუალური პროექტების მოზიდვაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტში განხორციელდა 40-ზე მეტი პროექტი, მათ შორის 10-ზე მეტი მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რითაც მან დამსახურებლად მოიპოვა მაღალი დონის საერთაშორისო აღიარება.

100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 70-მდე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფორუმში მონაწილეობა ნათლად ასახავს გურამ ბოკუჩავას მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ნახევარგამტარული მიკრო და ოპტოელექტრონული ხელსაწყო-მოწყობილობების შექმნის ტექნოლოგიების ოპტიმიზაციასა და განვითარებაში, ახალი მეცნიერული შედეგების მიღწევასა და პრაქტიკულ რეალიზებაში.

აღსანიშნავია მისი დიდი წვლილი თერმოელექტრული სილიციუმ-გერმანიუმის სისტემის შენადნობების რადიაციული მედეგობის, მოცულობითი სილიციუმ-გერმანიუმის კრისტალების ტექნოლოგიური ბაზის შექმნასა და კომპლექსური კვლევების განხორციელებაში.

გურამ ბოკუჩავამ თავდადებული შრომითა და მოყვასის გულისხმიერი თანადგომით დაიმსახურა ინსტიტუტის კოლექტივის, კოლეგებისა და მეგობრების ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

ბატონ გურამ ბოკუჩავას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თანამშრომელთა მეხსიერებაში.

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით

**ინსტიტუტის დირექცია**

— — — — — — — — — — — — — — —

**სამოქალაქო პანაშვიდი** 9 აგვისტოს, 14 სთ; მარიჯანის ქ. №4 (სად. I, სართ. VIII).

**გამოსვენება** 10 აგვისტოს, 14:00 სთ; წმ. კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიიდან (ასათიანის №10).

## სანთელი

ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებით მზიან ბათუმს დააკლდა ღირსეული მამულიშვილი, სრულიად საქართველოს კვირკველიების გვარის წინამძღოლი, ბატონი

# ვიქტორ კვირკველია



გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს: მეუღლეს მერი ბერიძეს, შვილს შალვა კვირკველიას, რძალს ვივი გურგენიშვილს და შვილიშვილებს.

პატივისცემით
**მამანტი როგავა** ოჯახით.



# მიმდინარე კვირაში, მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მატება და იზრდება ტყის ხანძრების რისკი!

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განცხადებას ავრცელებს.

**„მიმდინარე კვირის განმავლობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მატება, რა დროსაც განსაკუთრებით იზრდება ტყის ხანძრების რისკი. ხანძრის კერის ან დაკვამლიანების შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ში. აღნიშნული ინფორმაციის შემცველი მოკლეტექსტური შეტყობინება დაეგზავნებათ მოქალაქეებს"!**

# შოვში, სტიქიის ზონაში დაღუპულთა რიცხვი 19-მდე გაიზარდა



**შოვში, სტიქიის ზონაში დაღუპულთა რიცხვი 19-მდე გაიზარდა. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი ადასტურებს.**

შოვში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, სტიქიის ზონაში 16 ადამიანს ეძებენ. სტიქიის ეპიცენტრია კოტეჯების ტერიტორია, სადაც მაშველებმა ყველაზე მეტ ცხედარს მიაგნეს. საძიებო სამუშაოები უწყვეტად გრძელდება. ადგილზე მუშაობს ცოცხალი ძალა და მძიმე ტექნიკა.

# ფოთში ზღვაში დაკარგული მეორე მოზარდის ცხედარიც იპოვეს!

**მაშველებმა ფოთში, ზღვაში მეორე მოზარდის ცხედარი იპოვეს.** გუშინწინ, 7 აგვისტოს 14 და 16 წლის მოზარდები ზღვაში საბანაოდ ერთად შევიდნენ. ერთ-ერთის ცხედარი იმ დღესვე ამოასვენეს.

# პოლონეთში საქურდლად ჩავიდა!

**პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელსაც გამოძიება ავტოსადგომზე დაყენებული „ფიატიდან" ნივთების მოპარვას ედავება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 41 წლის კაცს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

ადგილობრივი მედიის ცნობით, ავტომობილის მფლობელმა კაცს ქურდობის ფაქტზე შეუსწრო, რის შემდეგაც, თვითმხილველებმა მისი დაჭერა შეძლეს.

**„ქალს ავტომობილის კარი გაღებული დახვდა. მან დაინახა, როგორ მოშორდა მის ავტომობილს კაცი. მალევე, მან შენიშნა, რომ მანქანაში ჩანთა აღარ იყო, რომელშიც საფულე, დოკუმენტები, საკრედიტო ბარათები და სოლიდური თანხა ედო. ქალმა ქურდს დაუყვირა და გაეკიდა. მას გამვლელები დაეხმარნენ და გაქცეული კაცი დაიჭირეს",** — ნათქვამია ინფორმაციაში.

# შვეიცარიაში პოლიციამ სიგარეტისპარია ქართველები დააკავეს!

**შვეიცარიის ქალაქ ბადენში სამი ქართველი დააკავეს, რომელიც „ევროსპარის" სუპერმარკეტიდან სიგარეტს იპარავდნენ.**

პოლიციამ „სპარის" მოლარემ მიმართა, რომლის ინფორმაციით, ერთმა ქართველმა მისი ყურადღება გადაიტანა, ხოლო ორმა ამ დროს რამდენიმე ბლოკი სიგარეტი მოიპარეს. პოლიციამ თავდაპირველად 26 წლის ქართველი დააკავა, რომელიც მაღაზიის მახლობლად იმყოფებოდა. დანაშაულის ორი თანამონაწილე (26 და 31 წლის) პოლიციამ დაახლოებით ერთ საათში დააკავა.

# იტალიაში გამყიდველი ქალი ქურდ ქართველს ქუჩაში დაედევნა...

**იტალიის ქალაქ სორენტოს პოლიციამ საქართველოს 41 წლის მოქალაქე დააკავა, რომელიც აფთიაქიდან კოსმეტიკურ საშუალებებს იპარავდა.**

პოლიციის ინფორმაციით, მათ ქუჩაში შენიშნეს კაცი, რომელსაც ქალი მისდევდა. ქალი აფთიაქის გამყიდველი იყო. პოლიციელებმა კაცი გააჩერეს და გაჩხრიკეს. ამ დროს მათ ჩანთაში აფთიაქიდან მოპარული კოსმეტიკური საშუალებები და მეორე მაღაზიიდან მოპარული მაისურები იპოვეს. მოპარული ნივთები პატრონს დაუბრუნდა, ქართველი დააკავეს და ბრალი წაუყენეს.

# გლობალური დათბობა გარდამტეხ მომენტს უახლოვდება

**კლიმატური ცვლილების შედეგები, როგორც წესი, ათწლეულებისა და საუკუნეების შემდეგ დგება, მაგრამ ამ ზაფხულს ეს შედეგები ყველგან ჩანს,** – ამის შესახებ USA Today-ზე გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, სათაურით „მსოფლიო გლობალური დათბობის სახიფათო გარდამტეხ მომენტებს უახლოვდება“.

სტატიის ავტორი ელიზაბეტ ვიზი აღნიშნავს, რომ ჰაერის ტემპერატურის რეკორდული მაჩვენებლები მუდმივად ახლდება, ოკეანეებში წყალი ცხელდება, მსოფლიო ლიდერები კი იმდენად შეშფოთებულები არიან, რომ ამ პროცესებს „გლობალური დუღილის ერა“ უწოდეს. სტატიაში აღნიშნულია, რომ რამდენიმე გლობალური ამინდის სისტემა, რომლებზეც მეცნიერები შარშანაც ღელავდნენ, წელს მზარდი მოწყვლადობის ნიშნებს აჩვენებს.




კერძოდ, ანტარქტიკაზე წყლის ყინული რეკორდულად დაბალ დონეზეა, ტყის ხანძრები კანადაში ჰაერს აბინძურებს, ოკეანეებში წყლის რეკორდული ტემპერატურა კი მარჯნებს უქმნის საფრთხეს. ამასთან, ივლისში გამოქვეყნებულ კვლევაში მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ატლანტის ოკეანის დინებები შესაძლოა მოსალოდნელზე სწრაფად დაიმსხვრეს, რაც ამინდისა და კლიმატის სწრაფ ცვლილებას გამოიწვევს. სტატიაში ასევე მოყვანილია 5 გარდამტეხი მოვლენა, რომელიც მეცნიერების ვარაუდით, შეიძლება მოსალოდნელზე სწრაფად განვითარდეს:

1. **მყინვარების დნობამ შესაძლოა ოკეანეები გადატვირთოს;**
2. **ატლანტის ოკეანეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი დინებები შესაძლოა გაჩერდეს და შეცვალოს კლიმატი აშშ-სა და ევროპაში;**
3. **ამაზონის ტროპიკული ტყეები შესაძლოა გაუჩინარდეს;**
4. **ტყის ხანძრები ალასკასა და კანადაში ტყეებს საძოვარ მიწად გადააქცევს;**
5. **ოკეანის წყლის მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა მარჯნის რიფები „მოხარშოს“.**

ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს პროგნოზი არა დანებებისკენ, არამედ ქმედებისკენ მოწოდებაა.




# ყველაზე საშინელი სტიქიური უბედურება სლოვენიაში

**სლოვენიაში მომხდარი წყალდიდობა ყველაზე საშინელ სტიქიურ უბედურებად არის აღიარებული ქვეყნის ისტორიაში. წყალდიდობას სულ მცირე 6 ადამიანი ემსხვერპლა.**

ძლიერმა წვიმებმა ქვეყნის ტერიტორიის 2/3-ზე წყალდიდობები და მეწყრები გამოიწვია. ადიდებულმა მდინარეებმა ხიდები დაანგრია, დაზიანებულია გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და ავტომობილები. წინასწარი შეფასებით, მატერიალური ზარალი 500 მლნ. ევროს შეადგენს.

# იტალიაში სიცხის გამო სიკვდილიანობამ იმატა

**იტალიის ცენტრალურ და სამხრეთ რეგიონებში ივლისში, რეკორდული სიცხეების ფონზე, ჩვეულებრივზე შვიდი პროცენტით მეტი გარდაცვალების შემთხვევა აღირიცხა.**

იტალიის ჯანდაცვის სამინისტრომ უახლეს ყოველთვიურ მონაცემებში აღნიშნა, რომ ექსტრემალური ტემპერატურის გავლენა ივლისის თვეში გაზრდილია 2015 წლიდან 2019 წლამდე იმავე პერიოდში დადასტურებულ სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ რეკორდულმა ტემპერატურამ 75 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში გარდაცვალების მეტი შემთხვევა გამოიწვია, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

**სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი აღმოჩნდა სამხრეთ იტალიის ქალაქებში, როგორებიცაა ბარი, კატანია და რეჯო-კალაბრია. ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებში, სადაც მაღალი ტემპერატურა ნაკლებად ფიქსირდებოდა, სიკვდილიანობა მოსალოდნელზე დაბალი იყო და წინა მონაცემებთან შედარებით 14 პროცენტით შემცირდა.**



# მეწყერი და ქვათაცვენა ნორვეგიაში

**ნორვეგიაში შტორმს მეწყერი და ქვათაცვენა მოჰყვა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, სტიქიის გამო პრობლემებია საავტომობილო გზებზე. ასევე, შეფერხებით მუშაობს რკინიგზა და გაუქმდა ავიარეისების ნაწილი.**

ნორვეგიის დედაქალაქსა და ოსლოს აეროპორტს შორის სარკინიგზო მიმოსვლა ამ დრომდე დარღვეულია.

საავტომობილო გზების ნაწილზე წყალდიდობის, ქვათაცვენისა და მეწყერის გამო მოძრაობა შეწყვეტილია. ასევე, გაჩერდა ბორნების ნაწილიც. სტიქიის გამო ათობით ოჯახის ევაკუაცია განხორციელდა, რადგან არსებობდა მათი სახლების დატბორვის საფრთხე. შტორმმა ასევე შექმნა პრობლემები ნორვეგიის მეზობელ შვედეთშიც, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა და მოსახლეობას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.



# ამერიკაში შტორმს ელოდებიან

**შტორმის საშიშროების ფონზე აშშ-ში 4 000-ზე მეტი რეისი გაუქმდა ან გადაიდო. როგორც ამერიკული მედია იუწყება, ამინდის გაუარესების გამო, ათასზე მეტი რეისი გაუქმდა, ხოლო 3 000 რეისი გადაიდო.**



ქვეყნის აღმოსავლეთის დიდი ნაწილი ამინდის გაუარესების მზარდი საფრთხის წინაშე დგას. გარდა ამისა, ტენესის შტატში 140 000-ზე მეტი მომხმარებელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა მაშინ, როდესაც რეგიონი შტორმისთვის ემზადება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 11 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6136; ევრო - 2.8642;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3171;
100 რუბლი - 2.7580; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5575;
1000 სომხური დრამი - 6.7617

**ამინდი 9 აგვისტოსთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე | +20, დღე +39 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, დღე +37 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე | +21, დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, დღე +36 |
| თბილისი: | ღამე | +24, დღე +39 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge